ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 28 (1466) 8 -11 ივლისი, 1996 წელი

გაზეთ «საქართველოს» რედაქტორს ბატონ ნოდარ გრიგალაშვილს

↓

ბატონი როინ ლიპარტელიანი საქართველოს პრეზიდენტობის ჭეშმარიტად ღირსეული კანდიდატი იყო!

→ იხ. მე-4 გვ.



ანონსის მაგიერ

რედაქციაში მობრძანდა საქართველოს პრეზიდენტობის „ჭეშმარიტად ღირსეული კანდიდატი“, ბატონი როინ ლიპარტელიანი. არ ვწერ ყოფილი კანდიდატი-მეთქი, ვინაიდან გაირკვა, რომ იგი მომავალშიც აპირებს ამ უმაღლეს პოსტზე კენჭისყრას.

შემპირდა, თუ ამ მიმართვას გამოვაქვეყნებ — იგი პრეზიდენტად გახდომისთანავე ცხენს მაჩუქებს.

ჩემთვის აუცილებელია ამ მიმართვის დასტამბვა, რადგან მელოდება რაში, რომელსაც როინის გაპრეზიდენტებისთანავე მოგახტები და აქედან მოვქუსლავ...

P.S. იმ ჩემი მეგობრებისა და კეთილმოსურნეების გასაგონად, ვინც დამამუნათა ბ-ნ რ.ლიპარტელიანის წერილის იუმორის გვერდში გამოქვეყნების გამო: ბ-ნი როინი ჩემთვისაც ახლობელი კაცია, მაგრამ საქართველო ჩემი სამშობლოა. მეტის თქმა, ვგონებ, საჭირო არ არის...

ნოდარ გრიგალაშვილი

ვახტანგ გოგუაძე:

ახლა ვნახოთ, ვინ ვინ გაგზავნა ბოსტანში...

→ მე-2 გვ.

ძირს კანონი, თუ იგი თენგიზ სიგუას იცავს — დაადგინა სასამართლომ!..

→ მე-4 გვ.

წერილი ციხის საავადმყოფოდან

ირაკლი სურგულაძე:

მივიღეთ «სტაბილიზაცია», რომლის ფასი განსაკუთრებით კარგად ჩანს ციხიდან

→ მე-5 გვ.

ვინ იყო ვინ?

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგი მწარე და ზოგიც ნელ-თბილი შეკითხვა ბატონ ვახტანგ გოგუაძეს

კითხვა მეათე:

თქვენ შევარდნაძის უპირველესი ფავორიტი იყავით, ამჟამად პრესა წერს, რომ თქვენს შორის შავმა კატამ გაირბინა.

როდიდან იცნობთ ბატონ ედუარდს და რა მოტივები ჰქონდა თქვენს სიახლოვეს ან რა მოტივი აქვს თქვენს შორის ურთიერთობის გაცივებას?

ვახტანგ გოგუაძე:

ახლა ვნახოთ, ვინ ვინ გაგზავნა ბოსტანში



— შევარდნაძის „უპირველესი ფავორიტი“ არის მხოლოდ შევარდნაძე. დანარჩენი მისი ფავორიტების ფავორიტობა პეპელას ხანგრძლივობისაა, რაც შეეხება შავ კატას, მოგახსენებთ: „ამოცანა იყო და არის ნანგრევებში არ გაიჭყლეტოს საქართველო“ — ასეთი სათაურით ინტერვიუ მივეცი „ახალგაზრდა ივერიელს“ ბატონ ედუარდთან მუშაობის 9 თვის თავზე. მოვიტან ვრცელ ამონაწერს:

„ბატონო ვახტანგ, თუ უხერხული არ იქნებ[illegible] ეოტა კულისებშიც გვინდა შევიხედოთ. უკვე 9 თვეა, რაც თქვენ ბატონ ედუარდთან მუშაობთ. ასეთ უმწვავეს ფსიქოლოგიურ პერიოდში, ყოველთვის სტაბილური როდია ადამიანური ურთიერთობები. იყო თუ არა მცდელობა თქვენს შორის უთანხმოების ჩამოგდებისა?

—მაგის მცდელობა არავითარ საიდუმლოებას არ წარმოადგენს, ამას თქვენს გასაგონადაც აკეთებდნენ და კიდევაც გააკეთებენ.

— ბატონო ვახტანგ, თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ თქვენსა და შეფს შორის შავი კატა არ გადაირბენს?

— ეეეჰ, შავი კატები ახლაც ბლომად დარბიან და დიდი შანსი მაქვს იმისი, რომ ჩემი თავი შეაძულონ. ეს სრულიადაც არ არის გამორიცხული, ოღონდაც გამორიცხული აი, რაა: შევარდნაძეს იმხელა გონიერება და ნებისყოფა აქვს, არავითარ შემთხვევაში არ იკადრებს არსაკადრებელს. რამდენიმე თვის წინ ერთ-ერთი თბილი, ადამიანური, გულახდილი საუბრის დროს მე მას ვუთხარი: „ეეჰ, ბატონო ედუარდ, ისე შეგაძულებენ ჩემს თავს... გამორიცხულია, მიპასუხა მან, ურო რომ მირტყან თავში, მე თუ ადამიანი ვირწმუნე, მის შესახებ აზრს ვერავინ შემიცვლისო... ისიც ვუთხარი, თქვენ არ იფიქროთ, რომ თქვენი მფარველობის იმედი მაქვს. მე თქვენზე დიდი მფარველი მყავს და ხელი ავიშვირე ზემოთ, სადაც ყველა კეთილის მშველელია. ერთი წუთით არ შეყოვნდეთ, — ვაიმე, რა ეშველება საბრალო ვახტანგსო. როგორც კი დავრწმუნდები, ყველაფერი კარგადაა და მე, როგორც ჯარისკაცი, საჭირო აღარ ვარ, მე თვითონ მიგატოვებთ-მეთქი. („მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია, 1993 წ. გ. 429—430) რაც შეეხება შავ ფისუნიებს, რამდენჯერ მინახავს ისინი ბ-ნ ედუარდის კაბინეტიდან გამოსულნი, ერთმანეთს რომ ხორცნაპარავ კატასავით გადახედავდნენ ჩემს დანახვაზე. ავსა კაცსა ავი სიტყვა, ურჩევნია სულსა, გულსა. ყველას თავისი გზა აქვს. კარგის მთქმელმა კარგი უნდა თქვას და ავის მთქმელმა — ავი.

ბატონი ედუარდი მსოფლიოში ცნობილი პოლიტიკოსია. მის შესახებ ბევრი დაწერილა, ბევრიც დაიწერება. ახლო მანძილიდან, ნებისმიერ ადამიანს, ცხადია, ბევრ ნაკლსაც უპოვნი, მაგრამ სიმპათია-ანტიპათიების იმპულსებს არ უნდა ავყვეთ. პროფესორ ვენორი ქვაჩახიას არაერთხელ უთქვამს ერთი კეთილი საყვედური თავისი მასწავლებლის, ბატონი კოტე ბაქრაძის მიმართ: გოლიათებს მოერეოდა ფილოსოფიაში, პოლემიკაში, მაგრამ იტყოდა — ბითური იყო და იმიტომ დავამარცხეო. არ ჯობია თქვა, გოლიათი დავამარცხე, ვიდრე ბითური დავამარცხეო. ჩვენი კრიტიკის ნაკლი თავისი თანამედროვე პიროვნების მიმართ ისაა, რომ იწერება ან სიძულვილით, ან სიყვარულით. სიძულვილის მწერალი გოლიათსაც კი ჯუჯად წარმოადგენს, სიყვარულით აღმწერელნი კი ჯუჯას შექმნიან გოლიათად. არაფერი ისე აუცილებელი არაა ჩვენთვის, როგორც სიმართლე, სამართლიანობა ფიქრსა და ქმედებაში. რაინდობა ყოველნაირ ვაჟკაცობას არ გულისხმობს. რაინდი არის ადამიანი, ვისაც მტერშიც კი ღირსების აღიარება შეუძლია. ამ ქარაგმებს ვიდრე კუდს გამოაბამდნენ, მინდა განვმარტო, მე არც შერკინებას ვაპირებ ბატონ ედუარდთან და არცა მტერი ვარ მისი.

აქ სხვა აზრია, — რომ მე 44 თვე უბრალო კაცთან არ მიმუშავია.

ბატონ ედუარდს უშუალოდ 1975 წლის 31 მაისს შევხვდი. უნივერსიტეტის რექტორის ბატონი დავითის დავალებით ბატონი ედუარდისათვის, კომკავშირთან მისი შეხვედრის შემდეგ, წავიკითხე 20 წუთიანი საჩვენებელი ლექცია ტექნიკურად აღჭურვილ აუდიტორიაში. მინიატურული ათენის კოლოსალურ კულტურაზე ვილაპარაკე, ძირითადად, პერიკლეს პიროვნებაზე შევჩერდი, მის დამოკიდებულებაზე ფიდიასთან და სხვა გენიალურ თანავარსკვლავედთან. ერთი-ორი ანეკდოტიც მოვყევი პერიკლეს შესახებ. ლექციის ქარაგმა ასეთი გახლდათ: ყველაფერი წარმავალია, რჩება კულტურა. მიზანი ქვეყნის არსებობისა არის კულტურა. პატარა ათენის მსოფლიო კულტურა კაცობრიობის სიამაყეა. მისი ბრძენი თავკაცი პერიკლე ისტორიას ამშვენებს, როგორც ერთი გამორჩეული „პლასტიკური პიროვნება“ (ჰეგელი). ამით თითქოს ვაქებდი შევარდნაძეს, — აბა შენ იცი, რასაც გააკეთებ, ქართული კულტურისათვის, იმით შერჩები ისტორიას. მაგრამ მას მაშინ არ სჭირდებოდა ჩემი შეგონება. მან, ცეკას მდივნობის 13 წლის მანძილზე, იმდენივე გააკეთა ქართული კულტურისათვის, რაც ვახტანგ VI-ემ თავისი მეფობის ასევე 13 წლის მანძილზე. მაგრამ საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ამ მხრივ მან შექმნა მხოლოდ მშვენიერი ლოზუნგი: „საქართველო გადაარჩენს ქართულ კულტურას, ქართული კულტურა გადაარჩენს საქართველოს“. იმ საერთაშორისო ძალებს, რომელთა ძალუმი გამგებლობის ქვეშაა დღეს საქართველოს ლიდერი, არა თუ ჩვენი კულტურისა და განათლების განვითარება სურთ, არამედ სურთ პირიქით...

ბატონი ედუარდისადმი ჩემი თაყვანისცემა თითქმის კომიკურ იერს იღებდა. თვალს ვადევნებდი თითქმის მის ყოველ ნაბიჯს. როდესაც 1985 წლის 12 თებერვალს მასთან ვიყავი გასაუბრებაზე, (პროორექტორად რომ დამნიშნა) — ხელი გავიშვირე ჩრდილოეთისაკენ და ვუთხარი: ჩვენს ინტელიგენციას დიდი იმედი აქვთ თქვენი და მწამს, რომ თქვენ იქედან გიორგი საკაძის სახით არ დაგვიბრუნდები-თქო. მართლაც, 4 თვეში წაიყვანეს მოსკოვში. იმ დღის შემდეგ მასთან არანაირი კონტაქტი არ მქონია 1991 წლის 3 ნოემბრემდე (როცა მასთან გახლდით მოსკოვში). მაგრამ ასე თუ ისე მის პოლიტიკაში რაღაცას ვხვდებოდი ხოლმე, ზოგჯერ იმდენად მიახლოებით, რომ ბევრს ეგონა, მე მასთან თითქოს კავშირები მქონდა. ერთმა პროორექტორმა საინტერესო კითხვა დამისვა, შენ შევარდნაძის მოქმედების კარგი წაკითხვა იცი, რას იზამს ახლა, იგი საგარეო საქმეთა მინისტრის ამპლუაში?

— რას იზამს და ანდრეი ხახაროვს ტელევიზორში გამოიყვანს (მაშინ იგი პატიმრობაში იყო), ავღანეთიდან ჯარს გამოიყვანს... — გაჩერდი ბიჭო, დაგვიჭერენ, რაებს ლაპარაკობ... მაშინ ეს არც ისე ადვილი წარმოსადგენი იყო. ყველას გახსოვთ, ყველაფერი მართლაც ასე მოხდა.

1971 წლიდან ყოველ ზაფხულს მამათში ვისვენებდი. 1988 წელსაც ჩავედი სოფელში. შოვიდა მეზობელი, ტიტე ჩხაიძე. გადავკოცნეთ, ტრადიციულად მივიკითხ-მოვიკითხეთ ერთმანეთი.

— ახლა ერთი ეს მითხარი, რას შობა, აი, ჩენი ედვარდიე?

— ოო, მაგან გააკვირვა მთელი მსოფლიო. საქართველოს ძალიან გაუთქვა სახელი... ვუყვები ლეგენდებადქცეულ მის დიპლომატიურ ორიგინალობებს... მისმინა, მისმინა და მითხრა:

— რას გეტყვი იცი, რუსს ლაკატკა ვერ გააგდებია ხელიდან კაციშვილმა და ედვარდიმ რომ აი რაკეტები დოუმსხვრია მაგენს, მაგას შეგვარჩენენ ეგენი?!

მე მგონი რუსის სუბსტანცია ასე მოკლედ, სხარტად დიდ მწერლებსაც არ დაუხატავთ.

— ის პროცესები, რაც ამ 7-8 წლის განმავლობაში განვითარდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, ჯერჯერობით მართალ გააზრებას ვერ პოულობს. არც კომუნისტური ნოსტალგიაა სინამდვილის შესაფერისი პოზიცია, არც ეგრეთწოდებული დემოკრატების დემოკრატობანას თამაში. საბჭოთა იმპერიის დანგრევა კი ვიზეიმეთ, მაგრამ ნანგრევებიდან გამოვალთ თუ არა, ეს ჯერ კიდევ საკითხავია. ისე ვზეიმობთ იმპერიის მანქანის დანგრევას, გეგონებათ ამ მანქანაში მხოლოდ ავი სულები იჯდა. ამოცანა დანგრევა კი არა, ქვეყნის გადაკეთება, სუვერენიტეტის გაზრდა, თანდათანობითი დეცენტრალიზაცია უნდა ყოფილიყო. ეს პროცესი უნდა წარემართათ იმ ძალებს, ვისაც ამ ქვეყნების სიკეთე უნდოდათ. ეს ასე არ ყოფილა. ბევრი მსოფლიო საკვირველება საცნაურდება ჩვენს თვალწინ.

გაგრძელება მე -3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე გვერდიდან

1994 წლის 19 მარტს პეტერბურგში ჩვენი პარლამენტის დელეგაცია ანატოლი სობჩაკს ვეწვიეთ: გიგა ლორთქიფანიძე, ედარ შენგელაია, რომან მიმინოშვილი, ქართლოს ღარიბაშვილი, რამაზ ხიზანიშვილი, ომარ ხუციშვილი და სხვები. სობჩაკმა გამოთქვა სურვილი ჩვენი დელეგაცია შეხვედროდა პეტერბურგის შემოქმედებით ინტელიგენციას. მეორე დღეს ჩვენთან გვეწვივნენ სასტუმროში. ერთ დეპუტატს ბოცა ქინძმარაული ჰქონდა წამოღებული. მსუბუქი სუფრა შედგა ტრადიციული სადღეგრძელოებით. ძალიან გათბა რუსული და ქართული გული. პეტერბურგელებს ახლდა ერთი ბელგრადელი პროფესორი. ადგა და მეკითხება:

„Господин Спикер, я часто приезжал в Советский Союз. Был в Москве, в Петербурге, в Тбилиси, жизнь, культура процветала в этой стране. Действительно, страна нуждалась в ремонте, но чувствует ли господин Шеварднадзе, вместе с Горбачевым, свою вину, ответственность в разрушении этой страны?

– Уважаемый профессор, как вы сказали, страна нуждалась в ремонте. нужна была правильная перестройка, а не развал страны. Как только Шеварднадзе смекнул, что страна идет не туда, он ушел с поста. Об остальном пусть ответит Райса Максимовна."

ეს ილეთი რამდენიმეგზის გამოვიყენე რუსეთში. თავისთავად საბჭოთა კავშირის დანგრევის გეგმა, ამ ქვეყნების კეთილმოსურნეებს არ შეუდგენიათ. ამიტომაც წარიმართა ყოველივე უკუღმა. უახლოესი პერსპექტივებიც ყოფილი რესპუბლიკებისათვის, ლაჟვარდოვანი არ უნდა იყოს.

საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის უკვე 1945 წლიდან დაიძაბა ურთიერთობა. კბილებამდე შეიარაღებული ქვეყნები, მსოფლიოზე ბატონობაში რომ ეჯიბრებიან ერთმანეთს, ცხადია, პოტენციური მტრები არიან. ეს მტრობა არც ახლაა მოხსნილი. მე მგონი პოლიტიკოსებისთვის არავითარ სიახლეს არ წარმოადგენს, რომ აშშ-ს, ხიროსიმისა და ნაგასაკის ატომური დაბომბვის შემდეგ გაუტკბა ეს თამაში და საბჭოთა კავშირის 20 ქალაქი უნდა დაებომბათ ატომით. საბჭოთა კავშირს რომელი უნდა დაებომბა არ ვიცი, მაგრამ არცერთი მხარე არ გახლდათ გულჩვილი. „ამ ოც ქალაქში, რომლებიც შერჩეულნი იყვნენ პირველივე შემთხვევაში ატომური დაბომბვისათვის, იმ დროისათვის ცხოვრობდა 13 მილიონი ადამიანი, მათ შორის ქალები, ბავშვები, მოხუცები. მატიანე, შექმნილი ხიროსიმისა და ნაგასაკის მიერ, უნდა შევსებულიყო 20 საბჭოთა ქალაქით (რიგითობა დადგენილი გახლდათ აშშ-ს საშტაბო დამგეგმავებისაგან): მოსკოვი, გორკი, კუიბიშევი, სვერდლოვსკი, ნოვოსიბირსკი, ომსკი, სარატოვი, ყაზანი, ლენინგრადი, ბაქო, ტაშკენტი, ჩელიაბინსკი, ნიჟნი ტაგილი, მაგნიტოგორსკი, პერმი, თბილისი, ნოვოკუზნეცკი, გროზნი, ირკუტსკი, იაროსლავლი (Н.Н.Яковлев, ЦРУ против СССР, М, 1985 გვ. 34).

აშშ-ს კი არ ვამტყუნებ, საბჭოთა იმპერია რომ უნდა მოესპო, მაგრამ თბილისელ კაცს, ბავშვს, ქალს, რას ერჩი, ატომისათვის რომ იმეტებ? ყოველ შემთხვევაში რატომ არა ხართ მადლობელნი, ამას ნუ მომთხოვთ. ასევე იტყვის ამერიკელიც საბჭოთა კავშირის მიმართ. მაგრამ ერთ რამეზე მაინც დავფიქრდეთ.

ხიროსიმა და ნაგასაკი რომ რუსებს გაეკეთებინათ, ხომ წარმოგიდგენია, მსოფლიოს რისხვა — კაციჭამიების ნაირ-ნაირ ტიტულს რომ გამოუძებნიდნენ მათ. ჩვენ არავინ გვაფრთხილებდა, იქედან ამერიკა დაგარტყამსო; თუ დათვრა რუცკოი, ისიც დაგემუქრება — ახლავე ავწევ ესკადრილიას თბილისზეო. მაშ, რა ვქნათ? ვიფიქროთ და ვილაპარაკოთ ქვეყნისთვის საჭირო სიმართლე და არა ის, რაც უფრო მომგებიანია „ჩემთვის".

1987 წლის 7 დეკემბერს, პოლონეთში, ლოძის უნივერსიტეტში ვართ ჩვენი უნივერსიტეტის რექტორი ბატონი ნოდარ ამაღლობელი, მე და უნივერსიტეტის უცხოეთის განყოფილების უფროსი ზურაბ ჟვანია

(არამწვანე). იქაური რექტორატი და ჩვენ ვახშამზე ერთად ვუყურებთ გორბაჩოვისა და შევარდნაძის ჩასვლას ვაშინგტონში, მთელ ცერემონიალს. როცა გაიგეს, რომ შევარდნაძის რაიონიდან ვარ, ძალიან დიდი ინტერესით მათვალიერებდნენ და მისმენდნენ, განსაკუთრებით თუ ეს შევარდნაძეს შეეხებოდა. ერთს გავიხსენებ. ვყვები:

— შევარდნაძე რეიგანმა მიიპატიჟა. მდიდრული სუფრაა. ყველა ჭამს, სვამს და თავ-თავიანთთვის საუბრობს, ქართველის თვალით, უწესრიგოდ მიდის სუფრა. შევარდნაძემ სიტყვა აიღო და თქვა: ჩემს ქვეყანაში სუფრას განსაკუთრებული წესები, რიტუალი უკავშირდება. ირჩევენ თამადას, რომელიც წარმართავს მთელ ამ პროცესს. დიდი ინტერესი გამოიწვია ამ სიახლემ და შევარდნაძე აღმოჩნდა თამადად. დალია მშობლების ხსოვნის სადღეგრძელო. ზოგს გული აუჩუყდა — ხუთი წელია მშობლის საფლავი არ მინახავსო. ერთი სიტყვით, გული აუჩუყა ამერიკელებს. ბოლოს რეიგანი ეუბნება, — კარგი ხალხი ხართ, შენ და გორბაჩოვი, მაგრამ ქვეყანა არ გივარგათ, დემოკრატია არა გაქვთო. აი, მაგალითად, თეთრი სახლის წინ შეიძლება მოვიდეს ნებისმიერი მოქალაქე და ლანძღოს რეიგანი.

— ვერ დაგეთანხმებით, ბატონო პრეზიდენტო, — მიმართა შევარდნაძემ, წითელ მოედანზეც ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება ლანძღოს რეიგანიო. ასე რომ ჩვენთანაც არის დემოკრატიაო.

ეს ამბავი როცა ბატონი ედუარდისაგან მოვისმინე, მე ვუთხარი, რომ ჩემი ვარიანტი სჯობდა.

ახლა დავუბრუნდეთ მწარე სინამდვილეს. ბზარი ჩვენს ურთიერთობაში ცოტა უფრო ადრე დაიწყო, ვინემ ჰგონიათ. მას მაინცა და მაინც ჩემი სპიკერად არჩევაც არ უნდოდა. თუმცა ეს არ გამოუხატავს. რომ მოენდომებინა, ეს მისთვის არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა. ბოლოს და ბოლოს მე ოვიოორ მეტყოდა. უარს ვიტყოდი. ბოლო ჟამს დაარწმუნეს, ძლიერი კონკურენტი ჰყავს, გოგუაძე მაინც ვერ გავაო: მართლაც თავისი უშუალო ღირსებებითა და პოპულარობით ჩემი კონკურენტი ჩემზე უკეთესი მონაცემებისა გახლდათ. მაგრამ პარლამენტმა ანგარიშით 126:68 მე დამიჭირა მხარი. ეს იმიტომ, რომ ჩემში დეპუტატები ხედავდნენ ბატონი ედუარდის ერთგულ თანამებრძოლს. ჩემი თანამდებობრივი მოღვაწეობის ყველა ეტაპი ბატონ ედუარდს უკავშირდება. უმადური კაცი ღმერთს არ უყვარს. ბოლო წელს განსაკუთრებით ბევრგზის გვწყენია ბევრი რამ, მაგრამ არ არსებობდა არაქართველი, ვინმეს ეს ჩემთვის შეემჩნია. ერთი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, ბატონ ედუარდს რომ პათოლოგიურად ვერ იტანს, საჯარო ქათინაურები უძღვნა ჩემს ერთ გამოსვლას პეტერბურგში. შემდეგ ცალკე შევხვდით და მეუბნება: აქ ყველამ იცის, — შევარდნაძე დასავლეთის კაცია, სჯერათ, შენ რომ რუსეთზე გულწრფელად ორიენტირებული ხარ. მაგრამ ისიც იციან, რომ შენ შევარდნაძის ერთგული ხარ.

— დიახ, ეს ასეა, უყოყმანოდ ვუპასუხე.

ცივად ჩამომართვა ხელი და გამშორდა. ახლა გავიმეტებ თავს და აშკარად ჩემთვის კიდევ ერთ წამგებიან სვლას ვაკეთებ. გასულ წელს, ვისაც ახსოვს ჩემი გამოსვლა „პირისპირში", ბატონ ვალერი კვარაცხელიასთან, ეხსომება ჩემი გამწარებული მიმართება სახელმწიფო მეთაურისადმი სამხარეო დაყოფასთან დაკავშირებით. მანამდე მე მასთან შევედი, ვაჩვენე ჩემი წიგნი და ვუთხარი — აი, რას ვწერდი სამი წლის წინათ სამხარეო დაყოფასთან დაკავშირებით. ვუთხარი, რომ ესაა საქართველოს დაგლეჯა ახალ ავტონომიურ ერთეულებად და ა.შ. მისმინა, მისმინა და კარგი, მერე ვნახოთო. მაგრამ ამის შემდეგ ისევ დაიწყო საქართველოს ამგვარი დაყოფის „ბედნიერებაზე" კამპანია. წვრილმან საკითხზე სახელმწიფოს მეთაურთან კამათი არ ვარგა. თუ ქვეყანა არ იქცევა, უნდა დაუქნიო კიდეც თავი. მაგრამ მიმაჩნდა და მიმაჩნია, ესაა საქართველოსთვის დამღუპველი რამ. მიმაჩნდა და მიმაჩნია, ამ ვითარებაში მყოფი ქართველი ხალხი, ძუძუმწოვარა შვილებს რომ ჰყიდის, შიმშილისაგან დახოცილთა რიცხვი სახიფათოდ რომ იზრდება, გაჭირვებისაგან იმატა თვითმკვლელობის შემთხვევებმა, მიწის გაყიდვის დაკანონება დამღუპველია. შეუწყნარებელია დღეს საქართველოში თურქული უნივერსიტეტის გახსნა. ამ გზით მეწარმეობა არათუ ვერ განვითარდება, ვერ იარსებებს. თითო-ოროლა დუქანი თუ გახსნა ვიღაც უცხოელმა საქართველოში, შეიკრიბება ერის მარშლობა — ნახეთ აღორძინდა ჩვენი ეკონომიკაო. ეს არ არის საბაზრო ეკონომიკა. ჩვენ ბაზარი წაგვართვეს, წაგვართვეს საგარეო და საშინაო ბაზარიც.

ყველა კარიერისტს ჰგონია, რომ კარიერისტია ყველა. ჩვენ თანამდებობაც გვინდა, დაფასებაც, მაგრამ თანამდებობას, რომელიც ქვეყნის ინტერესებს ეწინააღმდეგება, ღევნილის მღგომარეობა სჯობია.

დავუბრუნდები იმ გახმაურებულ გადაცემას „პირისპირ". იქ ვთქვი, პოლიტიკოსი შეიძლება ერთხელ ან ორჯერ მოტყუვდე, მაგრამ 3-ჯერ, 4-ჯერ რომ მოტყუვდები და იტყვი, — მოგვატყუეს, მოგვატყუეს, მაშინ რაღა გინდა პოლიტიკაში-თქო. ახლა ვნახოთ, ვინ ვინ გაგზავნა ბოსტანში. განსპიკერების შემდეგ, 10 დღის შემდეგ, ბატონ ედუარდს ბარათი მივწერე (სხვისი ბარათის უნებართვოდ გამოქვეყნება არ შეიძლება, საკუთარისა კი რამდენიც გნებავთ).

საქართველოს პრეზიდენტს
ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ღრმად პატივცემულო ბატონო ედუარდ,

თავს ვალდებულად ვგრძნობ, მოგახსენოთ ორიოდ სიტყვა.

ამ ათი წლის მანძილზე ყველა ჩემი თანამდებობრივი ნაბიჯი თქვენთანაა დაკავშირებული. როგორც ჩანს, თქვენს გარდა თავში არავის მოუვიდოდა ჩემთვის თანამდებობა შემოეთავაზებინა, რადგან ყველას უნდოდა კონვეიერული ჩამოსხმის ლაქია ჰყოლოდა ქვეშევრდომად. ეს ორმოცდაოთხი თვე, რაც თქვენთან ვიმუშავე, იყო ძალიან რთული და საინტერესო; ბევრი რამ დამრჩა ტკბილსახსოვარი. გულწრფელი მადლობელი ვარ თქვენი, რადგან თქვენთან მუშაობის ჟამს მე შევინარჩუნე პიროვნულობა. ვამბობდი და ვაკეთებდი იმას, რასაც ღმერთი მკარნახობდა. ამიტომაც იცის ღმერთმა, — მისხალით არ მიღალატია ღმერთისათვის, სამშობლოსა და სახელმწიფოს მეთაურისათვის. ამიტომაც წამოვედი ისევ ისე ცარიელ-ტარიელი, მაგრამ სუფთა. ვერანაირი ცილისმწამებელი ვერ მომაკარებს ფანტაზიას. და თუ მაინც და მაინც ეცდება ვინმე, მიიღებს იმას, რასაც უღმერთონი მიიღებენ წმიდა გიორგისაგან.

რა თქმა უნდა, ნაწყენი ვარ ყოველივე იმის გამო, რაც მოხდა და როგორც მოხდა. ასე არ უნდა ეჭცეოდნენ ჩემნაირ კაცს. მაგრამ არც ისე ნაწყენი ვარ, ზოგს რომ წარმოუდგენია და აი რატომ. ღრმად მწამს პატრიარქის სიტყვებისა, ხშირად რომ მეუბნებოდა — თქვენ, ბატონ ედუარდთან უფლის ნებით ხართ მივლინებულიო. ისიც ღრმად მწამს, რომ უფალმა დაასრულა ჩემი თქვენთან მივლინების ვადა. ღმერთისათვის მე თანამდებობა არასდროს მითხოვია. ჩემი ვედრება ასეთი იყო: ღმერთო, ნუ წამიყვან იქ, სადაც ჩემი ადგილი არ არის, ნება შენი არ არის. ამიტომ, ბატონო ედუარდ, მე მხოლოდ თქვენის ნების გამო არ დაგშორდით, დაგშორდით უფლის ნებით. ამიტომაც ნურვინ ფიქრობს, რომ ხვალ გადმოვდგები რომელიმე ტრიბუნაზე და თქვენზე აუგს ვიტყვი. მიმაჩნდა და მიმაჩნია, ედუარდ შევარდნაძე მოვლენაა მეოცე საუკუნის მსოფლიო პოლიტიკაში. მისი ავტორიტეტის შებღალვა არ გამოადგება საქართველოს. ვინც ჩემს ქვეყანას სიკეთეს მოუტანს, მტერიც რომ იყოს, ვაღიარებ მე მის ღირსებას. თავისთავად ცხადია, ჩემთან არა დგას არანაირი თანამდებობის საკითხი და არც შეიძლება იდგეს. ვეცდები ისნის რაიონის ამომრჩევლებს არ გავუცრუო იმედი.

თქვენს ბრწყინვალე იუმორს მივანდობ ერთ სათქმელს. ამას წინათ, წუნეთში, მთავრობის აგარაკზე, სახლის წინ ჩემს მიერ მოშენებულ ბოსტანში ვიდექი. ერთმა მეგობარმა ამომაკითხა და მკითხა, რას შვრები ამ გადამჭკნარ ბოსტანშიო. პასუხი: როცა დიოკლეტიანე გადააყენეს იმპერატორობიდან, ბოსტანს მიჰყო ხელი. მიაკითხეს ძველმა მეგობრებმა და მოიკითხეს ექსიმპერატორი. რას ამბობთ, — უთხრა დიოკლეტიანემ — კომბოსტოს ახალი ჯიში გამოვიყვანე, რომელი იმპერატორობა მომანიჭებდა ამდენ სიხარულსო. ასე რომ, მე დავბრუნდი ჩემს თეოლოგია-ფილოსოფიაში.

ბატონო ედუარდ,

მე თქვენთვის პრობლემა არასდროს შემიქმნია და არც ვაპირებ. პოლიტიკაში განშორებას, როგორც ჩანს, არანაკლები ღირსება სჭირდება, ვიდრე თანამშრომლობას.

ღმერთმა ინებოს და ღვთის გზით გატაროთ საქართველოს საკეთილდღეოდ.

ღრმა პატივისცემით

ვახტანგ გოგუაძე

5.12.1995 წ.

ამ წერილის ავტორმა რამდენადმე სიტყვა გატეხა — პრეზიდენტს მწარე სიტყვებით მიმართა. მაგრამ ის, რაც 1996 წლიდან გზას დავადექით, ეს ქვეყნის კატასტროფას მოასწავებს. არ ვიცი, მანამ ძველი პარლამენტისა ეშინოდათ თუ რა, მაგრამ მაშინ ასეთი ანტიეროვნულ-ანტიხალხური ნაბიჯები ვერ გადაიდგმებოდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ᲫᲘᲠᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ, ᲗᲣ ᲘᲒᲘ ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲡᲘᲒᲣᲐᲡ ᲘᲪᲐᲕᲡ — ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛ!..



ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ უკვე კარგად არის ცნობილი გაორებული „რუსთაველის საზოგადოების“ გარშემო არსებული პერიპეტიები. ეს დავა თანდათან მწვავდებოდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, კულმინაციას მიაღწია. იუსტიციის სამინისტროს მიერ რეგისტრაციაზე უარის შემდეგ, რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტმა ბატონმა თენგიზ სიგუამ წამოჭრილი დავის შესახებ მიმართა პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტს. მისმა თავმჯდომარემ, ბატონმა რომან მიმინოშვილმა კი უპასუხა, რომ სპეციალურად მოწვეულ სხდომაზე „პარლამენტართა გამოსვლებში მკვეთრად გამოიხატა აზრი, რომ მორალურად გამართლებული არ არის თავიდან ჩამოყალიბდეს საზოგადოება, რომელიც არსებობს 1988 წლიდან, საკმაოდ სერიოზულ მუშაობას ეწევა და მისი ლიკვიდაცია ან თვითლიკვიდაცია არ გამორიცხულა“. სამართლიანობის დასადგენად კი ბატონმა რომანმა საკითხი განსახილველად საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტს გადაუგზავნა. კომიტეტის თავმჯდომარემ, ბატონმა მიხეილ საკაშვილმა კი იუსტიციის მინისტრს, ბატონ თედო ნინიძეს, თავისი დასკვნა გაუგზავნა, სადაც ნათქვამია: „...იუსტიციის სამინისტროს რეგისტრაცია არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის და, კერძოდ, „მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის მოთხოვნას იმის შესახებ, რომ „წესდების რეგისტრაციაზე უარი უნდა ეთქვას, თუ ადრე რეგისტრირებულია იმავე სახელწოდებისა და მიზნების მქონე სხვა საზოგადოებრივი გაერთიანების წესდება“. მოგეხსენებათ, რომ „მთავრობის დადგენილება რუსთაველის საზოგადოების რეგისტრაციის შესახებ, 1988 წელს, როდესაც სხვა მარეგისტრირებელი ორგანო არ არსებობდა, წარმოადგენდა საზოგადოების რეგისტრაციაში გატარების და იურიდიულ პირად ცნობის ერთადერთ სამართლებრივ და აბსოლუტურად სრულყოფილ კანონქვემდებარე აქტს, რომელიც დღესაც ძალაშია. ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ „მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების შესახებ“ საქართველოს კანონი არ შეიცავს რაიმე მოთხოვნას კანონის ძალაში შესვლამდე რეგისტრირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელახალი რეგისტრაციის თაობაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 1988 წელს მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით რეგისტრირებული რუსთაველის საზოგადოება, კანონის თვალსაზრისით, ფუნქციონირებს და იურიდიული პირის სტატუსს ინარჩუნებს დღესაც. ამრიგად, „მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის გათვალისწინებით, რუსთაველის ახალი საზოგადოების რეგისტრაცია იყო გაუმართლებელი“.

როგორც საპარლამენტო კომიტეტის დასკვნით ირკვევა, იუსტიციის სამინისტროს უკანონოდ უთქვამს უარი არსებული რუსთაველის საზოგადოების რეგისტრაციაზე, რაც ტენდენციური შეხედულებებითაა გაპირობებული. აშკარაა, რომ იუსტიციის სამინისტრო „ზემოდან“ დაკვეთას ასრულებს და თავს საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში იგდებს.

თუკი რუსთაველის საზოგადოება უკანონო იყო, მაშინ პასუხისგებაში უნდა მიეცეს ყველა ის ორგანიზაცია და პირი, ვისაც კი რაიმე საფინანსო ურთიერთობა ჰქონდა მასთან. კერძოდ, კი გასარკვევია, როგორ მოახერხა საზოგადოებამ ქვემო ქართლის რეგიონში 2700 სახლის შეძენა. დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე არსებულ ტაო-კლარჯეთში სამეცნიერო ექსპედიციის გაგზავნა, ელ.შენგელაიასა და ლ.ღოღობერიძის ფილმების დაფინანსება, წიგნების გამოცემა, „ივერთბანკის“ დაფუძნება და სხვა საქმიანობისათვის აუცილებელი საფინანსო ოპერაციების ჩატარება? საკითხიც გლობალურად უნდა დადგეს — ასეთი „უკანონობა“ რატომ დაუშვა ერთვნულმა ბანკმა, ფინანსთა სამინისტრომ და კონტროლის პალატამ? კომუნისტების პერიოდში კი ამგვარი ფართო მასშტაბის აფეთქება გამორიცხული გახლდათ. ამიტომაც პასუხისმგებლობა იუსტიციის სამინისტროს ეკისრება.

28 ივნისს კი მთაწმინდის რაიონის სასამართლომ, ს.ლომსაძის თავმჯდომარეობით, მსაჯულების ნარიმანიძისა და ფაიქრიძის მონაწილეობით უარი უთხრა ბატონ თენგიზ სიგუას სარჩელს რეგისტრაციის თაობაზე. სასამართლოს ტენდენციურობა გადაწყვეტილების დასაწყისიდანვე ჩანს, სადაც აღნიშნულია: „თენგიზ სიგუას რუსთაველის საზოგადოება“. მოსამართლეებს კი იმდენი საერთო განათლება მაინც უნდა ჰქონდეთ, რომ იცოდნენ, იგი ოფიციალურად სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებად იწოდება და რომელიმე ერთი პირის კუთვნილებას არ წარმოადგენს.

სასამართლოს დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საზოგადოებამ არ დაიცვა კანონის მოთხოვნები, კერძოდ მე-12 და მე-13 მუხლების შესაბამისად სამინისტროში არ წარუდგენია რუსთაველის საზოგადოების დამფუძნებელთა კრების სხდომის ოქმი ხელმძღვანელ პირთა ხელმოწერით, მათი საცხოვრებელი ადგილის, მისამართის, სამუშაო ადგილის და თანამდებობების მითითებით“. ამ პირველი „არგუმენტის“ შესახებ უნდა ითქვას, რომ ოქმი წარდგენილ იყო, მაგრამ მისამართები და თანამდებობები მითითებული არ ყოფილა. ამ შემთხვევაში იუსტიციის სამინისტრო ვალდებული გახლდათ, საზოგადოებისათვის ეცნობებინა ეს დარღვევები და დოკუმენტაციის სრულყოფა მოეთხოვა. უფრო მეტიც, სამინისტროს მუშაკებმა ისიც კი განუცხადეს საზოგადოების წევრებს, რომ წარმოდგენილი საბუთები სრულ წესრიგში იყო. ბატონ მურმან ლებანიძის ხელმძღვანელობით არსებული მეორე საზოგადოების დოკუმენტაციის შემოწმებისას ასეთივე დარღვევები აღმოჩნდა და რეკვიზიტებიც აკლდა. ასევე, ამ ახალი ორგანიზაციის დამფუძნებელთა სია 52 კაცს შეიცავს, რომელთაგან რამდენიმემ უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ისინი შეცდომაში იყვნენ შეყვანილნი. ამიტომაც დამფუძნებელნი 50-ზე ნაკლებია, რაც კანონით არ შეიძლება და პირდაპირ ეჭვქვეშ აყენებს თვითმარქვია ორგანიზაციას. ამ ახალმა დამფუძნებლებმა სიყალბეც ჩაიდინეს. თავიანთ სიაში შეიტანეს ქეთი გრიგოლიაც, რომელსაც მოტყუებით მოაწერინეს ხელი, თითქოს შეკრებაზე დამსწრეთა რეგისტრაციისათვის. ასეთ სიყალბეთა გამკითხავი კი არავინ გახლავთ.

სასამართლოს შემდეგ მოტივად ეკითხებოდა: „ასევე არ წარუდგენია რუსთაველის საზოგადოების დამფუძნებელთა ყრილობაზე მიღებული წესდება, რომლის რეგისტრაციაზე ამ კანონის მიხედვით განცხადება შეტანილი უნდა იქნეს მარეგისტრირებელ ორგანოში ერთი თვის ვადაში ყრილობის გამართვიდან. სამინისტროში კი წარდგენილი იყო რუსთაველის საზოგადოების წესდება, მიღებული 1989 წლის პირველ ყრილობაზე, რომელსაც არ გააჩნია არავითარი იურიდიული ღირებულება“. ამაზე პასუხი დასაბუთებულად აქვს გაცემული ბატონ მ.სააკაშვილს, ხოლო ჩვენი მხრიდან დავუმატებდით, რომ კანონს უკუქმედების ძალა არა აქვს და დღევანდელი ნორმატიული აქტით შეუძლებელია ადრე არსებულ კანონიერ მოთხოვნათა შეფასება-უარყოფა.

სასამართლო ასევე ადგენს: „ამასთანავე არ ყოფილა გადახდილი მისაკრებელი, რომლის გადახდაც კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად სავალდებულოა სარეგისტრაციოდ საბუთების წარდგენისთანავე“. ეს ერთადერთი პუნქტია, რომელიც სიმართლეს შეეფერება, მაგრამ ეს არგუმენტი გადამწყვეტი არ გახლავთ. მისაკრებელის შეტანა თავის დროზე თავად იუსტიციის სამინისტროსაც არ მოუთხოვია. ამასთანავე ამ დარღვევის გამოსწორება სირთულეს არ წარმოადგენს და სერიოზული მსჯელობის საგნად ვერ მიიჩნევა. მთავარი გახლავთ ამავე კანონის მე-16 მუხლი, რომელიც სასამართლომ შეგნებულად არ გაითვალისწინა, კერძოდ: „მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებას შეიძლება უარი ეთქვას რეგისტრაციაზე... თუ ადრე რეგისტრირებულია იმავე სახელწოდებისა და მიზნების მქონე სხვა საზოგადოებრივი გაერთიანების წესდება“. ამ კანონით ნათლად ჩანს, რომ იუსტიციის სამინისტროსა და სასამართლოსაც უარი უნდა ეთქვათ ახლად ჩამოყალიბებული თვითმარქვია საზოგადოებისათვის და არა კანონიერი მფლობელისთვის.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ პრესაში უამრავი პუბლიკაციები იცავენ არსებული რუსთაველის საზოგადოების პოზიციას და ჯერჯერობით არ აღმოჩნდა ერთი კაცი მაინც, ვინც საპირისპირო აზრს გაიზიარებდა. სამწუხაროდ, ოფიციოზი ყველაფერს უარყოფს, არც კანონს უწევს ანგარიშს და არც საზოგადოებრივ აზრს უგდებს ყურს. ეს კი ყოველგვარ ზნეობრივ ნორმებს აღემატება და მთელს პასუხიმგებლობას კანონის უარმყოფელ სამართალდამცავ ორგანოებს აკისრებს.

ერთი სიტყვით, ისინი ებრძვიან ამ შემთხვევაში კანონს.

ბატონებო, არ შეიძლება კანონი ჩვენი გუნება-განწყობილებით ვათამაშოთ. კანონი შეუვალი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ხვალ შეიძლება თქვენ გახდეთ უკანონობის მსხვერპლი და ეს ასე იქნება პერმანენტულად მანამ, სანამ კანონის ადგილზე „მე ასე მინდას“ პრინციპი იდგება.

ᲒᲣᲑᲐᲖ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲫᲔ

ᲒᲐᲖᲔᲗ «ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ» ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲡ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲒᲠᲘᲒᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲡ!

ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲠᲝᲘᲜ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲔᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲘᲧᲝ

ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲜᲝᲓᲐᲠ, დიდი გულისყურით წავიკითხე თქვენი გაზეთის ამა წლის №24-ში გამოქვეყნებული საქართველოს აგრარული პარტიის თავმჯდომარის, საქართველოს აგრარულ-ტექნოლოგიური აკადემიის ნამდვილი წევრის, აკადემიკოსის, საქართველოს პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატის ბატონ როინ ლიპარტელიანის მიმართვა საქართველოს პრეზიდენტისადმი. მე ძალიან დიდ პატივს ვცემ თქვენს გაზეთს და პირადად თქვენ, ამიტომაც მინდა მოგცეთ მეგობრული, კეთილ, მოსურნეობით გამსჭვალული შენიშვნები. დიდი შოთასი არ იყოს: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“.

1. თქვენს გაზეთში დაბეჭდილი ბატონ როინ ლიპარტელიანის მიმართვა საქართველოს პრეზიდენტისადმი იმდენად აქტუალურ, საჭირბოროტო, ერის სატკივარ საკითხს ეხება (ამას დამიდასტურებს ათიათასობით მკითხველი, რომელიც ამ მიმართვას გაეცნო), რომ ღირსეულად იმსახურებდა თქვენი გაზეთის პირველ თუ არა, მეორე გვერდზე დაბეჭდვას. თქვენ კი ის დაბეჭდეთ იუმორის გვერდში. აქ კომენტარი ზედმეტია.

2. აშკარად უაზრო, გაუგებარი და ავტორისადმი პატივისცემას მოკლებულია თქვენი წერილის მიზანი და შინაარსი. ყველამ კარგად იცის, ვინც ჩახედულია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, თუ როგორი კარგი პიროვნება არის როინ ლიპარტელიანი. მე გეტყვით მოკლედ იმას, რაც აფხაზეთში მცხოვრებმა ადამიანმა ჩემი თვალებით ვნახე. ბატონი როინი, ეს არის ძალზე ეროვნული, პატრიოტი, ჭკვიანი, მამაცი და უშიშარი ადამიანი. მის გვერდით ყველას უნდა ყოფნა, რადგან იციან, რომ თუ საქმემ თავგანწირვა მოითხოვა, პირველი თვით როინი გაწირავს თავს. ბრძოლებშიც ჭეშმარიტი რაინდია. მისი ყოველი ჩამოსვლა აფხაზეთში იმედის მომცემი იყო, როგორც ქართველებისთვის, ისე აფხაზებისთვის. ის თავიდანვე სწორად ამბობდა, რომ ეს ომი იყო რუსების მიერ ინსპირირებული ძმათამკვლელი ომი. ბატონმა როინმა ბევრი ადამიანის სიცოცხლე იხსნა, აქაც შეძლებისდაგვარად ყურადღებას არ აკლებს გაჭირვებულ ადამიანებს, ლტოლვილებს. მისი ყოველი დღე მათი დახმარებით იწყება.

ბატონო ნოდარ, თქვენ აშკარად არასწორად წერთ, რომ ვითომდაც ბატონ როინ ლიპარტელიანმა არჩევნების დროს მიიღო 0,0000001% ხმებიო. ჯერ ერთი, ოფიციალურად გამოცხადდა, რომ მან დააგროვა 0,4% ხმები (თუ შეამჩნიეთ, ამდენი ხმები რუსეთის არჩევნებში ვერც მულტიმილიარდელმა ბრინცალოვმა და ვერც მსოფლიოში გამოჩენილმა პოლიტიკოსმა გორბაჩოვმა ვერ დააგროვეს). ამასთან ხომ ყველამ კარგად ვიცით, რომ საქართველოში არჩევნები აშკარად გაყალბებული იყო. მე გარწმუნებთ, რომ როინ ლიპარტელიანს ხმები გაცილებით მეტი ჰქონდა, ვიდრე ეს ოფიციალურად დაფიქსირდა. თქვენს მცირე მოცულობის წერილში წერთ: „მკითხველი დარწმუნდება იმაში, თუ რა მასშტაბის პრეზიდენტი დაგვიკარგავსო“. მე ქვეყნის გასაგონად ვამბობ: ბატონი როინ ლიპარტელიანი საქართველოს პრეზიდენტობის ჭეშმარიტად ღირსეული კანდიდატი იყო და ამ ჩემი სიტყვების სიმართლეს სულ მალე დაამტკიცებს. ბატონო ნოდარ, ბატონი როინი რომ მაღალი ინტელექტის, ერუდიციის და კომპეტენციისაა, წაიკითხეთ მისი სტატიები, მისი წიგნები, კარგად გაეცანით მის ბიოგრაფიას და ყველაფერში თქვენ თვითონ დარწმუნდებით. ბატონ როინ ლიპარტელიანზე ძალზე ბევრის თქმა და დაწერა შეიძლება, მაგრამ ამჯერად მე მგონი საკმარისია.

ბატონო ნოდარ, ბოლოს კიდევ გთხოვთ ისევ წაიკითხოთ ბატონ როინ ლიპარტელიანის მიმართვა საქართველოს პრეზიდენტისადმი და თუ იქ ერთი სიტყვაც ყალბი, ზედმეტი და მიუღებელი შეგხვდეთ, ღმერთმა შეგინდოს ის დაუმსახურებელი წყენა, რომელიც თქვენ ბატონ როინს და მთელს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მიაყენეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში მე პირადად კატეგორიულად მოვითხოვ თქვენი გაზეთის საშუალებით ბოდიში მოუხადოთ როინ ლიპარტელიანს.

ბატონო ნოდარ, მე მჯერა თქვენი პატიოსნებისა და სისპეტაკის, ამიტომ გთხოვთ გაიზიაროთ ჩემი მეგობრული შენიშვნები და გაითვალისწინოთ თქვენს მომავალ მუშაობაში.

ᲣᲚᲠᲛᲔᲡᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲘᲗ
ᲯᲔᲛᲐᲚ ᲛᲘᲫᲔᲚᲐᲫᲔ

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო კომიტეტის წევრი, აფხაზეთის ასოციაცია „აკადემიის“ პრეზიდენტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი.

წერილი ციხის საავადმყოფოდან

ირაკლი სურგულაძე:

მივიღეთ „სტაბილიზაცია“, რომლის ფასი განსაკუთრებით კარგად ჩანს ციხიდან

გაგრძელება. დასაწყისი იხ „საქართველო“ №26,27

ვიცე-პრემიერის პოსტზე დანიშვნა ჩემთვის, სრულიად მოულოდნელი იყო. არც შემოდგომაზე, როცა „დდს“-ი პოლიტიკურ ბრძოლას ეწეოდა, მით უფრო იანვარ-დეკემბრის დღეებში, ამ საკითხზე საუბარი არ ყოფილა. გამსახურდიას წასვლისა და ბრძოლის შეწყვეტის შემდეგ მე თ.სიგუას უფრო იშვიათად ვხვდებოდი, რადგან ის უაღრესად დატვირთული იყო მიმდინარე საქმეებით. ამ თანამდებობაზე მუშაობის წინადადება თ.სიგუამ მე მომცა, თუ არ ვცდები, 14-15 თებერვალს და დაახლოებით 20 თებერვლიდან დავიწყე მუშაობა.

თ.სიგუას, ჯერ კიდევ ზ.გამსახურდიასთან თანამშრომლობის პერიოდში, მიაჩნდა, რომ მთავრობაში უნდა მიეზიდა კადრები აკადემიური წრეებიდან. მაშინ მასთან ვიცე-პრემიერად ამ დარგში დაინიშნა ფილოლოგი, ცნობილი ენათმეცნიერი ბაქარ გიგინეიშვილი. თ.სიგუა ფიქრობდა, რომ ნაკლები პოლიტიკურ-ადმინისტრაციული გამოცდილების პირობებში, რაც აშკარად შეიმჩნევა საქართველოში, უმჯობესი იქნებოდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე ისეთი ხალხის დანიშვნა სამეცნიერო წრეებიდან, რომლებიც არ იქნებოდნენ დატვირთულები ძველი „სტილის გამოცდილებით“ და ადვილად გაერკვეოდნენ ფართო სარეფორმო საქმიანობაში, რომელიც მთავრობას მოელოდა. მისი აზრით, ისინი შეძლებდნენ რეალური წვლილის შეტანას იმ ძირეულ გარდაქმნებში, რომელიც უნდა განეცადა საქართველოს სახელმწიფო წყობილებას და თვით მოქალაქეს. ზემოთ მოგახსენეთ, რომ თანამდებობის თაობაზე არასოდეს არ გვქონია საუბარი, მაგრამ საერთოდ საკმაოდ ბევრი გვიმსჯელია და მან იცოდა ჩემი შეხედულებები მოქალაქეობაზე, საკუთრებაზე, იმ სრულიად განსხვავებულ ზნეობრივ ტიპზე ადამიანისა, რომელსაც, ჩემის ღრმა რწმენით, მიუხედავად სიძნელეებისა, შეუძლია ახალი ქვეყნის აშენება. ქვეყანა სხვა არაფერია, თუ არა იქ მოსახლე ადამიანთა ურთიერთობა, დამყარებული კანონსა და საკუთრებაზე. თ.სიგუა ერთ-ერთ თავის წერილში წერს: „ჩვენ ვოცნებობდით, რომ საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტები აღმოცენებულიყოო“. ეს იყო ჩვენი ძირითადი მიზანი. დროებითი მმართველობის პერიოდში გადაუდებლად უნდა დაწყებულიყო ქვეყნის მშენებლობა ქვევიდან. თ.სიგუა მაშინვე შეუდგა პრივატიზაციის გეგმის განხორციელებას, რაც მიუხედავად მოუმზადებლობისა და ნაჩქარევობისა, აუცილებლად გადასადგმელი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ბუნების ნაბიჯი იყო. ეს სამმაგი განსაზღვრება იმისათვის დამჭირდა, რომ ხაზი გამესვა შემდეგი გარემოებისათვის: პრივატიზაცია, როგორი მოუმზადებელიც არ უნდა ყოფილიყო იგი, ყოფილ საბჭოთა მოქალაქეს აქცევდა მესაკუთრედ და, შესაბამისად, სხვა სოციალურ განზომილებაში გადაიყვანდა. ამასთანავე, პოლიტიკური მოსაზრებით, მოსახლეობას უნდა ეგრძნო, რომ სხვა დრო დადგა, შეიცვალა მიდგომა ძირეული საკითხისადმი, საკუთრებისადმი, რითაც „ეს დრო“ განსხვავდებოდა სოციალისტური წეს-წყობილებისაგან. ამასთანავე ეს ნაბიჯი დასაბამს აძლევდა ძველთან დაშორების შეუქცევად პროცესს. ასეთ აუცილებელ ვითარებაში მსგავსი რადიკალური ნაბიჯის გადასადგმელად გულწრფელი მონდომებით ნაკარნახევი პასუხისმგებლობა და ვაჟკაცობაა საჭირო, რაც თ.სიგუას გააჩნია. რაც შეეხება შეცდომებს, ამის გარეშე შეუძლებელია, თანაც ნაწილი წინასწარვეა ამოცნობილი, იგივე ითქმის დანაკარგებზეც. პრივატიზაციამ, მიუხედავად მისი ნაკლოვანი მხარეებისა, რომელთა მნიშვნელოვანი წილი ქვეყნის საერთო მდგომარეობის შედეგი იყო, დაიწყო სოციალისტურ წყობილებასთან აშკარა დაშორების პროცესი და პირველი ნაბიჯები გადადგა მესაკუთრის სოციალური ფენის ჩამოყალიბების გზაზე. ამაშია მისი ისტორიული მნიშვნელობა. თ.სიგუას მიწის პრივატიზაცია რომ არ ჩაეტარებინა, სოციალისტური, საბჭოთა მეურნეობები აავსებდნენ ბაზარს სოფლის პროდუქტებით? გლეხს ხელს არ უწყობენ, არა აქვს ტექნიკა, საწვავი, ძარცვავენ გზებზე, მაგრამ იგი მაინც იბრძვის და ქმნის სწორედ იმ პრივატიზებულ მიწაზე. ამიტომ ვერ დავეთანხმებით ბ-ნი პრეზიდენტის ამასწინანდელ არაკორექტულ შეფასებას, რომელიც მან ამას წინათ პრივატიზაციას მისცა („ვირული პრივატიზაცია“). შეცდომების აღრიცხვის ცალმხრივი გზით თუ ვივლით, მაშინაც და დღესაც იმდენ შეცდომას ვიპოვით, რომ მის დასახასიათებლად, თუ ვიკადრებთ,, არქტიკისა და ტროპიკების ფლორა და ფაუნა არ გვეყოფა, განსაკუთრებით ფინანსური პოლიტიკის სფეროში. ეს ისე, მაგალითისათვის. ასეთივე ექსკურსი შეიძლება ჩავატაროთ ჩვენი მეურნეობისა და კულტურის სხვა დანარჩენ სფეროებში. მაგრამ ეს ახალს არაფერს მოგვცემს. მაშინ, ახალზე გადასვლის მცდელობის ხანაში, როცა სახელმწიფო მორალურად ინარჩუნებდა ძველებურ „პასუხისმგებლობას მშრომელების კეთილდღეობაზე“, მაგრამ საამისო რესურსი არ გააჩნდა, საზოგადოებაში დიდი დუღილი დაიწყო. ძალიან ძნელი ხანა იყო წმინდა ადამიანური თვალსაზრისით, ადამიანებს ცხოვრების წესი, ბედი შეეცვალათ და, ბუნებრივია, უკმაყოფილების საფუძველი სერიოზული იყო. მე თანავუგრძნობდი თ.სიგუას მის ყველა ძირითად მიმართულებაში და ალბათ ამან განაპირობა ჩემი თანამდებობაზე მიწვევა. თუ რა ხდებოდა მაშინ, როგორ ვართმევდით საქმეს თავს, ამაზე შეიძლება თქვან მაშინდელმა ხელმძღვანელებმა, სამწუხაროდ, ზოგი მათგანი ცოცხალი არ არის. რაც შეეხება გადადგომას, ეს ძალზე მარტივად ასახსნელია. ჯერ ერთი, მე არ ვიყავი ერთი და უკანასკნელი, ვინც შეიძლება იმ სკამზე მჯდარიყო. მაშინ ომი დაიწყო, საქმიანობის სფერო, ბუნებრივია, ყველას შეგვეცვალა, ამასთანავე მიდიოდა მომხრეების ძებნა და ბრძოლა პარლამენტში ადგილებისათვის. ასევე სხვადასხვა საკულისო საქმიანობა, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა რეფორმულ გარდაქმნებთან. გამოიკვეთნენ ფავორიტები, შეიქმნა უცნაური აგებულების, გარეგნულად პოლარულად დაშორებული ნიშნებით აღბეჭდილ პირთა კავშირები, რომელნიც ძალაუფლებისათვის იბრძოდნენ. ამ დროს მე მათ არ ვჭირდებოდი. გარდა ამისა, თ.სიგუას არ ეყო პოლიტიკური, უფრო სწორედ, საკარო ინტრიგების გამოცდილება და ვერ შექმნა თავისი მომხრეების ბირთვი. უფრო მეტიც, მან გადადგომის კეთილშობილურ ტრადიციასაც „ჩაუყარა საფუძველი“, მაგრამ ჩემის ღრმა რწმენით, როგორადაც არ უნდა გაღრმავდეს კრიზისი, ამ „საფუძველს“ უახლოესი ათი წლის მანძილზე არავინ გამოიყენებს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მაშინდელი გეგმებიდან ბევრი არ განხორციელდა, მაშინ შეიქმნა ისეთი კარდინალური მიმართულებები, რომელთაც საქართველო უსათუოდ დაუბრუნდება, თუ უნდა იყოს ცივილიზირებული სამყაროს სრულუფლებიანი წევრი და საბოლოოდ გაემიჯნოს სოციალისტურ ცნობიერებებს, რომელსაც გარედან ათასგვარ აბრებს კიდებენ, მაგრამ, როგორც ხედავთ, შინაარსის შეცვლა არ ხერხდება. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ მმართველობის პირველივე დღეებიდან თ.სიგუა შეეცადა დაეწყო სოციალიზმიდან ჩამოშორება. გარკვეული მოცულობით მან ეს შეძლო. დარწმუნებული ვარ მისი მოღვაწეობის ეს პერიოდი გაცილებით მნიშვნელოვანია საქართველოს ბედისათვის, ვიდრე მომდევნო წლებში ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა და არქაული, ვერტიკალურ-ბიუროკრატიულ პრინციპებზე აწყობილი პოლიტიკური სახელმწიფო სტრუქტურის აშენებაზე დახარჯული დრო. ეს ჩემი აზრია. ბევრი ალბათ არ დამეთანხმება, განსაკუთრებით კი ის კატეგორია „მოღვაწეებისა“, რომელიც სულ ტივტივებს და ყველა მთავრობასთან ახერხებს საერთო ენის მონახვას. აი, მოკლედ ყველაფერი, რამაც გამოიწვია ვიცე-პრემიერის პოსტზე ჩემი დანიშვნაცა და არმიწვევა ამ პოსტზე ახალ მთავრობაში, სადაც თვით თ.სიგუას სამარცხვინო სკანდალი მოუწყვეს და იძულებული გახადეს ცხრა თვის შემდეგ პოსტი დაეტოვებინა თავის მთავრობასთან ერთად. მაშინ იწყებოდა ის საქმიანობა, რომელიც ახლა ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების გასაკეთებდად გადაიდო, თუ საბოლოოდ არ ჩამოყალიბდა დუვალიკების მსგავსი ხელისუფლება. ამის საშიშროება რეალურია, რადგან რუსეთი ნებისმიერ პიროვნებასა და მთავრობას დაუჭერს მხარს, მისი „დემოკრატიულობის“ კოეფიციენტის მიუხედავად, ვინც ღიად თუ შეფარვით იბრძოლებს მისი ინტერესების გასამტკიცებლად საქართველოში. იმ პერიოდში და კიდევ უფრო ადრე, საბჭოთა კავშირის წინა პერიოდიდან მოყოლებული, ბევრი რამის მოპოვება იყო შესაძლებელი. სამწუხაროდ, ზ.გამსახურდია ამ გზით არ წავიდა. მისი წასვლის შემდეგ თითქოს რაღაც დაიწყო, მაგრამ შევარდნაძის ერთპიროვნული მმართველობის ხანისათვის „ის“ მატარებელი წავიდა. რუსეთი, ასე ვთქვათ, გონს მოეგო, შეძლო თავისი გეგმების გაგრძელება-გაღრმავება (ოსეთი, აფხაზეთი). ამას, როგორც ბოლოდროინდელ ამბებზე ... შინდელ პრესაში, ხელს უწყობდა ე.შევარდნაძისადმი ... მაოდ ძლიერი ნაწილის დამოკიდებულება. ასე იყო თუ ისე, ფაქტი სახეზეა, ყველაფერი ასე მოხდა და არა სხვანაირად, ჩვენთვის უფრო სასარგებლო ფორმით. საიდუმლო და შეცდომა, ასევე პირადი პოლიტიკური ინტერესები, რა თქმა უნდა, გადამწყვეტ ფაქტორებად იქცნენ. ახლაც ფიქრობენ, რომ მთავარი იყო ამის მიღწევა, რაც დღეს გვაქვს (?). დანარჩენის მიღწევა და გამოსწორება თითქოს შესაძლებელია. ჩემი აზრით კი, ამ ბოლო წლებში რაც ჩვენ ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე დავკარგეთ, არასოდეს იქნება გამოსყიდული. ჩვენმა ხალხმა ყველაფერი გააკეთა, გაიღო მსხვერპლი, ეკონომიკური სახსრები, აჩვენა უდიდესი ენთუზიაზმი, იმისათვის, რომ მიეღწია დამოუკიდებლობისა და თავისუფლების შესაძლებელ დონისათვის, მაგრამ პოლიტიკამ, ჯერ აუხსნელმა და გაუგებარმა, ეს ყველაფერი ქარს გაატანა. მივიღეთ „სტაბილიზაცია“, რომლის ფასი განსაკუთრებით კარგად ჩანს ციხიდან. ხალხი კი, რომელმაც ამდენი არჩევანი და რეფერენდუმები გამართა, ადგილობრივ არჩევნებს ვერ ეღირსა, კაცი კაცად ვერ გადაიქცა. ყველაფერი ზემოდან დაიწყო და ახალი ადგილობრივი არჩევნები, თავის შედეგებიანად ისეთივე ვერტიკალურად გამჭვირვალე იქნება, როგორც საბჭოთა დროს იყო. წარმომიდგენია, სიგუას რომ ის დაწყებული პრივატიზაცია არ ჩაეტარებინა და სოციალისტური საფუძველი არ დაერღვია ახლა რა წყობილებას მივიღებდით.

ამ კითხვაში აშკარად ისმის იმ პროპაგანდისტული კაკაფონიის გამოძახილი, რომელით ჩვენი „ფრონტის“ დაპატიმრებასთან ერთად გააჩაღა ორმა მეგობარმა, გოგელია-გიორგაძემ და პრესამ ხელისუფლების დაკვეთით. მე თ.კიტოვანს არსად არ წავყოლივარ და კარგა ხანია არავის არ დავყვები. მე გახლდით „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის“ პოლიტიკური მდივანი და ამ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელი. სხვათაშორის, ასეა ჩაწერილი ჩემს საბრალდებულო დასკვნაშიც და არსად არ არის აღნიშნული ის, რომ დამიჭირეს თ.კიტოვანის „წაყოლისათვის“. თ.კიტოვანი ამ ორგანიზაციის საჯაროდ არჩეული თავმჯდომარე გახლავთ.

ეს კითხვა არ არის კონკრეტული და მას რომ სრული პასუხი გავცე, უნდა გადმოგიწეროთ ორგვერდიანი დოკუმენტი, „ფრონტის“ პროგრამა და წესდება, ასევე ის ღონისძიებები, რაც განახორციელა ფრონტმა თავისი არსებობის მოკლე დროის განმავლობაში, გამოსვლები ჩვენი დეპუტატებისა პარლამენტში. ამასთანავე, უნდა გათვალისწინებულ იქნას ამ ორგანიზაციის მასობრიობა, რაც ადვილად დაანახვებს დაინტერესებულ და საქმეში ჩახედულ პირს „ფრონტის“ სოციალურ საფუძვლებში, აგრძნობინებს მის მასშტაბსა და პერსპექტივებს. მაშინ კითხვა აღარ დაისმის ისე, როგორც თ.კიტოვანის სადმე წასვლა

გაგრძელება მე-8 გვ.

აბიტურიენტებისა და მე-11 კლასელთათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით კლდიაშვილის «სოლომან მორბელაძე» (განხილვა)

ნოდარ გრიგალაშვილი

(დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №25)

ცოდნა სიკეთისა და სინათლის წინააღმდეგ

ცხოვრება არსებობისათვის და არა არსებობა ნამდვილი ცხოვრებისთვის, რაც ესოდენ მაღალმხატვრულად ასახა დავით კლდიაშვილმა, სხვა უამრავ პარადოქსებს შორის ერთ უკუღმართობასაც ხდის საცნაურს:

ცასმოწყვეტილი, სულიერებადაკარგული ადამიანი ყველა ქმედებას, ყოველგვარ მიზანს, ოცნებას, იდეალს უკავშირებს ერთადერთს — როგორმე გადაირჩინოს ფიზიკური არსებობა და, აქედან გამომდინარე, ადამიანური ვნებების ასპარეზზე, როგორც პოეტი იტყოდა, მგლური კანონი ღმუის.

სულიერ არსებათა შორის მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელი ცოდნის შეძენის წყურვილიც კი მგლური კანონის აღსრულებას ემსახურება. კლდიაშვილის სინამდვილეში როგორც სხვა განზომილებები ქცეულა ჭეშმარიტის კარიკატურულ გამოვლინებად, ასევე დამართნია იმას, რასაც ცოდნა ჰქვია.

ზნეობადავიწყებულ საზოგადოებაში **ცოდნა** გამოდის **განათლების, ამაღლებულის, სიკეთის** წინააღმდეგ.

იქ, სადაც მეფობს მგლური კანონი, ჭკუა ადარ არის გონიერების სინონიმი. ჭკუას, მოხერხებულობას, საზრიანობას ენაცვლება საქმის მოკვარახჭინების, ხრიკების გაბმის ოსტატობა.

გაიხსენეთ მოხუცი პლატონის ვედრება სოლომონისადმი: „რაცხა ეშმაკად შვილი შევიყვანე სასწავლებელში, ქე ვნანობ ახლა, ნამეტანი ხარკი უნდება... ბოვშვიც ტირის და იხვწება, სასწავლებლიდან არ გამომიყვანოო... სწავლის ფული მაქვს შესატანი და ამისთვის მოვედი შენთან... რომ არ შეგაწუხო, მეტი გზა არა მაქვს. ვადაც ქეა გადასული, შენ რომ ფულების დაბრუნებას შემპირდი...

ბოვშვს გამომიგდებენ და ნუ ჩადგები ჩემს ცოდვაში...“

იმ სიბნელეში, დავითის პერსონაჟები რომ ცხოვრობენ, გამოჩნდა კაცი, სწავლის სიკეთე რომ შეუგნია და არაფერს იშურებს, რათა შვილი სასწავლებლიდან არ გამოუგდონ და სხვებივით ყრუელა არ დაურჩეს. მაგრამ თხზულების სრულად გადაკითხვის შემდეგ, თქვენ ხვდებით — სწავლის მოთხოვნილება მხოლოდ იმ მოთხოვნილებასთან არის დაკავშირებული, რომ სწავლულმა უფრო მოხერხებულად ატყუოს სხვა, ვიდრე ამას ყრუელა „უსტავლელი“ იზამდა.

ბესარიონ ქათამაძის სასიძო, „ქამუშაძის გაჭირვებასა“ თუ „სამანიშვილის დედინაცვალშია“, ცოდნა სწორედ იმის ანტიპოდადაა წარმოდგენილი, რასაც განათლება ანუ სხვისი ჭირით შეჭირვების უნარი ჰქვია. გაიხსენეთ „სწავლულები“: პორფირი ბიაშვილი, ბეგლარ ჯინჭარაძე, ივანე გვერდწითელიძე, რომელთა ჭკუაც ფლიდობასა და ყრუელა ხალხის გაცუცურაკებაშია გამოხატული.

ერთი სიტყვით, დავითმა არსებობისათვის მებრძოლი ადამიანების ცხოვრების გადმოცემის ფონზე გვიჩვენა, რომ ასეთ საზოგადოებაში თვით ცოდნაც კი, ადამიანის სრულყოფილების საფუძველი, ადამიანისავე დეგრადაციის მიზეზად არის გადაქცეული. სამწუხაროდ, ჩვენი დროისათვისაც ესეც ერთ-ერთი ნაცნობი წყევლაკრულვიანი საკითხი გახლავთ.



მართალია, ახნაური არ არის, მაგრამ მასზე პირდაპირ ნადირობენ, რათა სიძედ მოიკიდონ. „იმისთანა ყმაწვილები ასთუმნიან ქალებს არ ჯერდებიან“, — ამბობს მაშვალი სოლომანი. რატომ მაინც, რომელი ავთანდილი ან ტარიელი ჰყავს ქაიხოსრო ქათამაძეს გაზრდილი?

საქმე ისაა, რომ ნიკოია სასულიერო წოდების კაცია, მღვდლებს კი საერთო გაჭირვების ფონზე უზრუნველი ლუკმა აქვთ. ეპისკოპოსი ნიკოს მღვდლად კურთხევას უპირებს, თანაც დიდმრევლიან ეკლესიაზე ამწესებს. ტყუილია თუ მართალი მაშვლის ეს სიტყვები, მთავარი არ გახლავთ. მთავარი ის არის, რომ მღვდლად შესაგულებელი კაცი სასურველი სასიძო ხდება, ვინაიდან სხვა გაჭირვებულებივით არ იცხოვრებს. მთავარი ის არის, რომ სასულიერო განათლებას იმიტომ ეწაფება ახალგაზრდა, იმის გამო იკლავს მშობელი თავს, რათა შვილს სასწავლებელი დაამთავრებინოს, — რომ იცის, ღვთისმსახური ღვთის სხვა შვილებზე უკეთ იარსებებს, ცხადია, მათივე გაჭირვების ხარჯზე...

მართალია, ნიკო ჯერჯერობით სხვებს არ დამსგავსებია, მაგრამ მთავარია ის მუშტრის თვალი, რომლითაც მას უყურებს სოფელ-ქვეყანა, როგორც ნასწავლ, ანუ მომავალში — **უშრომელად ცხოვრების** შემძლე კაცს.

ამდენად, „სოლომან მორბელაძის“ მიხედვით, ისე, როგორც ეს ამოფარებულ ელპიტეს, რომლის გამოც ისეთი ვაჭრობა გაუმართავს სოლომან მორბელაძეს, ისე დაუინებით იტყობინება სამამამთილო, შეთანხმებულ ფასს კაპიკი არ დააკლდესო, თითქოს მშვენიერი ასულის ნაცვლად ჯოჯოხეთის მაშხალას თხოულობდნენ.

იმ „ღირსსახსოვარ“ დიალოგებში, მაშვალსა და ქალ-ვაჟის მშობლებს შორის რომ იმართება, ლაპარაკია მხოლოდ ფულზე.

ბესარიონმა, ქალიშვილის მამამ, უნდა მისცეს ქაიხოსროს, სასიძოს მშობელს, ორმოცი თუმანი ფულად, ოცი თუმნის ვექსილი და ოცი თუმნის ბარგი!..

მაშვალს თავის მხრივ წილად უნდა ხვდეს ექვსი თუმანი.

როგორ იშოვოს ბესარიონმა ამდენი ფული? ხომ არ დაუკლებს ერთ ას მანეთს ქაიხოსრო საწყალ ბესარიონს? ხომ არ დაალევინებენ ჩაილურის წყალს სოლომანის სამაშვლო 60 მანეთს?

აი, დიალოგების თემა, ამ ადამიანებს რომ გაუმართავს, თითქოს საქმე მშვენიერი ასულის გათხოვებას კი არა, საახალწლოდ დასაკლავი ბურვაკის ყიდვა-გაყიდვას ეხებოდეს...

ერთადერთი, ვისაც არაფერს ეკითხებიან, ეს თვით ელპიტეა, ის კი არა, თუ ისეთი მსურველი გამოჩნდება, რომელიც ქალის მშობლებს ცოტა ნაკლებ თანხას დასჯერდება, მზად არიან „ნივთი“ ამ ახალ მსურველს უბოძონ. თავის მხრივ პროტესტსაც აზრი არ აქვს, ვინაიდან ასეა წესი, ან უნდა გადაიხადო, ან შინაბერად დაიტოვო ქალიშვილი...

რუსთაველის ქვეყნის ამაზე შორს წასვლა, ამაზე უარყოფითი სურათის წარმოდგენა აღარც შეიძლება.

ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ახალ დროს ახალი ადამიანები მშვენივრად მორგებიან...

* * *

მიაცილებს დიდი მწერლის მზერა სოფლის მტვრიან შარაზე ჯორითა თუ ბეხრეკი ცხენით მოჩაქჩაქე, მოტყუებულ მხედარს და თვალებში ირეკლება სინანულის, სიყვარულის, აღშფოთების ცრემლი მისი ყოფის გამო. მოიხედე უკან, შე მადლიანო, ჯორიდან ცხენზე, ცხენიდან ავტოზე, ავტოდან თვითმფრინავზე ამხედრებულო, ის მზერა ისევ მიგაცილებს! ისევ სინანულით, ისევ სიყვარულით, ისევ აღშფოთების ცრემლით, რადგან შენში არაფერი შეცვლილა ჯერაც...

მომდევნო ნომრებში დაიბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის იმ ლექსების განხილვა, რომელნიც წელს შეიტანეს პირველად მისაღები გამოცდების პროგრამაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუმორის გვერდი – წუთშესვენება

არც რა მიშველა ტირილმა,
არცა ცრემლების დენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა.

ხელოვანის ღიმილი

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ამირან ბუაძე

საქელეხე «მრავალჟამიერი»

წლების წინ მოხდა ეს ამბავი, „ცისფერი ტრიოს“ წევრებმა მიიღეს სახალხო არტისტის წოდება. ერთხელაც შევხვდი მის ყოფ-ყოფ წევრს თამაზ სეფერთელაძეს (ბავშვობის მეგობარია ჩემი) და რაღაც „ვაჟნად“ მომესალმა, ასე მეორედაც. შენ გიჩვენებ სეირს-მეთქი, გავიფიქრე. იმ პერიოდში ერთ ჩვენს ახლობელს ბებია გარდაეცვალა. სანამ გავასვენებდით ბებიას, იქვე, ჭირისუფალი ტრიალებდა, საქმიანობდა და მივედი მასთან. ბიჭები ცოტა მოშორებით ისხდნენ.

— ქალბატონო თამარ, ჩვენთვის, არტისტებისთვის, ცოტა იქეთ გააშლევინეთ-მეთქი სუფრა.

— კი შვილო, კი შენი ჭირიმე, ამირან!.. როგორც თქვენ მეტყვით — შეიცხადა ქალბატონმა თამარმა.

მივედი თამაზ სეფერთელაძესთან და ვეუბნები, ნახე, რა იკისრა მიცვალებულის ჭირისუფალმა-მეთქი. რაო, იკითხა თამაზმა. რა და, ქელეხში უნდა იმღეროთო. როგორო. როგორ და ისემეთქი. გავასვენეთ სასწრაფოდ ბებია,

მოვბრუნდით სასაფლაოდან. ისევ განვცალკევდი ქალბატონ თამართან და ჩუმად ვეუბნები: ხომ იცით, ქალბატონო თამარ, ჩვენ ცალკე დავჯდებით-მეთქი. კი შენი ჭირიმე, ჩემო ამირან, ხომ იცი, როგორც მე ვიტყვი, ისე იქნებაო, — ხმამაღლა წარმოსთქვა მან. თამაზს ეგონა, სიმღერის შესახებ იყო ლაპარაკი. მოკლედ, დავარწმუნე, როგორც იქნა. დავსხედით სუფრასთან, თამაზი შუაგულ ნათესაობაში ჩავაჯინე. დავლიეთ ერთი ჭიქა, ორი ჭიქა... ჰოდა, მელოტი არ არის ეს ჩვენი თამაზი? თავი რო აუჭარხლდა სასმელისგან, ვიფიქრე, კარგად შეთვრა-მეთქი და ვუთხარი, აბა, დავიწყეთ-მეთქი და დაიწყო... საეკლესიო მრავალჟამიერი. ხო იცი, პირველი ხმა იწყებს, ჰოდა, რო დასცხო... ამ დროს მე... რას შვები! რას შვები ბიჭო! ისე როგორ დათვერი, შე გარეწარო!.. არ გრცხვენია?!. აღშფოთდა ნათესაობაც, ჭირისუფალიც, ზოგმა ხაშლამის ნაჭერი ესროლა. წავიდა, გაიქცა, თოფი მოიტანა, უნდა მოვკალიო. ეს რა გამიკეთაო. მე კი ამ დროს იქ შეკრებილ საზოგადოებასთან სიტყვით გამოვდიოდი: აი, ესე გათამამდა ეს „ცისფერი ტრიო“ და ასე გატუტუცდა, რო ქელეხებშიც კი მღერიან-მეთქი. თვითონ კი ამ დროს ჩასაფრებული იყო, უნდა დავბრიდო, ვარიანტი არ არისო. მე კი ამ სცენის შემდეგ ერთბაშად ამ ოჯახის უახლოეს ჭირისუფლად ვიქეცი და 300 კაციანი სუფრის ჭურჭელი იყო თუ რა, დავრეცხე, გავაკრიალე ყყულაყური, მასტიკაც კი წავუსვი იატაკს, მოკლედ, ჩემს კისერზე გადაიარა იმ სუფრამ. ხალხი გაგიჟდა, ეს ამირან ბუაძე რა ყოფილა ჩვენი ოჯახისთვის. იმათ რა იცოდნენ, რო ეს დამპალი იჯდა თოფით და მელოდებოდა. მოკლედ, ორი თვე ვემალებოდი, სანამ სიბრაზემ არ გადაუარა.

ღამე კარადაში

ერთხელ ეგეთი მართლა კურიოზი გადამხდა, პირად ცხოვრებაში. ვიღაც ქალი შემოგვეჩვია თეატრში. ერთხელ მოვიდა, ორჯერ, სამჯერ, ხუთჯერ... კოტე მახარაძეს ვეუბნები, შენთან მოდის-მეთქი, ალბათ, ეს ქალი. არაო, მითხრა, შენთან იქნებაო. მაშინ ცოტა ახალგაზრდა ვიყავი, ხო იცი და... მოკლედ, რომ აღარ გავაგრძელო, მითხრა ამ ქალმა, ამაღამ მარტო ვარ სახლშიო და მეც ავედი. მელიქ კაზარიანცის შენობაში ცხოვრობდა. თურმე ქმარი გაუშვა იმ საღამოს მივლინებაში. მივედი, რაღაც, აქეთ, იქით და უცებ... ზარია. გაიხედა, რას ხედავს, თურმე ქმარი არ მობრუნებულა? რა უნდა გვექნა? ჩამკეტა კარადაში. ეს ქმარი, ამხელა კაცია თან, პოლკოვნიკი. თურმე ფრენა არ იყო და ვერ წავიდა მოსკოვში. მთელი ღამე იცდიდა. დილითლა ადგა რეისი და წავიდა შვიდ საათზე. მე მთელი ღამე როგორ გავატარე იმ ჩახუთულ კარადაში, ხო წარმოგიდგენია, დილით, ვეღარ ავიტანე ამდენი და გული წამივიდა. აი, ეს იყო ეს ამბავი.

გოგი გელოვანის ქალები

რაკი ქალებზე წავიდა საუბარი, ერთ ამბავსაც მოვყვები ამასთან დაკავშირებით. გასტროლებზე ვართ წასული ჩვენი თეატრი მოსკოვში, ლენინგრადში. 1972 წელია. მე და გოგი გელოვანი ვმეგობრობდით. მოსკოვში, მოგეხსენებათ, ახალგაზრდა კაცი დროს ატარებს ისე, ასე და გოგიც ჩემთან ერთად იყო ხოლმე. ერთი თვე მოსკოვში დავრჩით, მერე გადავედით ლენინგრადში. ჰოდა, გოგი გელოვანი მეუბნება, შენ ხო პატივი მეცი, ლამაზ საზოგადოებაში დაგყავდი, ახლა მე ვიცი შენი პატივისცემაო, და დააძრო ბლოკნოტი. როგორი ბლოკნოტი იყო, იცი? აი, ლენინი და სტალინი ერთად რო ეხატა, ძველისძველი, ზემოთ კი „СЛАВА КПСС“ ეწერა. მეო, მითხრა, კაი ქალების მისამართები და ტელეფონები მიწერიაო. აკრიბა ერთი ნომერი:

— Княз Геловани вас беспокоит... მიიღო სოლიდური იერი.

— Очень приятно...

– Марусю попросите, пожалуйста...

– Ой, бабушка умерла 10 лет тому назат...

– OO... извеняюсь... – დაკიდა ყურმილი, ჩავსვით შავ ჩარჩოში, ეს ტელეფონი, მივაწერეთ: „Маруся умерла“. ახლა სხვა აკრიფა:

— Ало... Галичка, это вы...

– Да что вы, Галя моя мама, она умерла 15 лет тому назад...

– Да, что вы, что вы... — დაკიდა ყურმილი. ჩავსვით ესეც შავ ჩარჩოში. და ასე, ერთი ათ ქალთან მაინც დარეკა, ყველა გარდაცვლილი აღმოჩნდა. გოგი, მე ვუთხარი, ვინ არიან ეს ქალები, რა ყველანი ამოხოცილან...

— ბიჭო, — მითხრა, — მეო, „დავით გურამიშვილში“ რო მიღებდნენო, — ე.ი. ხო აზრზე ხარ, „გურამიშვილს“ იღებდნენ 1945 წელს, ლენინგრადის ბლოკადა არ იყო ჯერ მოხსნილი, წარმოგიდგენია? და მაშინ გაუცვნია ესენი. მაშინ გოგი იყო 21 წლის და ესენი იყვნენ ასე, ორმოც წლამდე. ხოდა, მიმტკიცებდა, რა კაი გოგოები იყვნენ იციო?

შიშნაჭამი ყარაჩოღელები

ვასო გოძიაშვილმა აღადგინა სპექტაკლი „მზის დაბნელება საქართველოში“. არაჩვეულებრივად თამაშობდა ძველი კოლექტივი. ყველაზე პატარა მე ვიყავი. ასეთი სცენაა იქ. დილაა, თენდება, დუდუკების ხმა ისმის. ჩვენ, „ყარაჩოღელები“, კი ვსხედვართ და მწვადებზე ვქეიფობთ. „ეს ღმერთმა გაუმარჯოს იმ ვაჟკაცს“ და ა.შ. ხო იცი, როგორც არის... ჰოდა, რაღაც კონტაქტი ჰყო ელექტრომავთულსა და მაყალს შორის.

ჩვენი გამნათებელი კი ხან მოუმატებდა განათებას, ხან მოუკლებდა, გველადავებოდა რა, დილის სპექტაკლი იყო. უცებ, ბუხ!.. დაიძახა, რაღაც აფეთქდა. ვაი, შევცბით ეს „ყარაჩოღელი ვაჟკაცები“, მეორედაც იფეთქა და ცეცხლი გაჩნდა. როგორ აღმოვჩნდით ფოიეში, არ მახსოვს. პირველი მე გავრბოდი და უკან დანარჩენი ბიჭები მომდევდნენ. ვასო გოძიაშვილი გიჟად იყო, კულისებში იდგა და არ იცოდა, რა მოხდა. დაიწყო ყვირილი: სად გარბიხართ, ხალხი რატო იცინის!..

— ძია ვასო, „პაჟარ“... — ვიყვირე.

— რა დროს პაჟარია ვირიშვილო!.. გაგიჟდა კინაღამ. ჰოდა, მეორე სცენა იწყება მერე, ყარაჩოღელები შევდივართ: „ისევ და ისევ ღვიიინით აარიანნ“... ვმღერივართ და მაყურებელმა რო დაგვინახა, რო ძაან ვაჟკაცური გვიჭირავს, აუტყდათ სიცილი. ვასო გიჟდება, რა აცინებს ამ ხალხს, სასაცილო სცენა არ არის, არაფერი. ბოლოს მოვუყევით, გაგიჟდა, მაგრამ რაღას იზამდა.

ჩაშლილი «მადამ სანჟენი»

ახალი მანქანა მყავდა მოყვანილი თეატრში. „მადამ სანჟენში“ ვთამაშობდი მაშინ ცეკვის მასწავლებელს. ერთი კარგი სცენა იყო, იმას ვთამაშობთ. ერთი ნათელა იყო ბუფეტში მაშინ, იმან დაინახა, რომ ბიჭები მივიდნენ, ჩემი ოთხი საბურავი მოხსნეს და წაიღეს. ამ ქალმა რა იცის, ახლა, ჩემი მანქანა დგას სადღაც ქუჩაში. აუ, გაგიჟდა ეს ქალი. ხედავ, რომ მანქანა დგას უსაბურავოდ. შემოვარდა, კულისებიდან მიყვირის: ამირანჯან! ამირანჯან! პაკრიშკი ნეტუ!.. ვაიმე... სოფიკო თამაშობდა მადამ სანჟენს. ვეცი სოფიკოს, ერთი წუთით გავალ-მეთქი. გამოვვარდი სცენიდან. ავტეხეთ რეკვა მილიციაში. მოვიდა მილიცია. რა ხდებაო. ვუთხარით, რაც მოხდა. მიუშვეს ძაღლი. გავარდა ეს ძაღლი და შეძვრა მანქანის ქვეშ. ვიფიქრეთ, არიქა, გვეშველა-მეთქი. თურმე ამ საწყალ ძაღლს „პერაშკის“ ნაგლეჯი უპოვნია მანქანის ქვეშ და იმას სჭამდა. ამასობაში ავთო მიქაძე მოვიდა და მითხრა, იმიტომ მოვხსენი „პაკრიშკები“, რო შენ არ წასულიყავი და სპექტაკლი არ გაგეცდინაო. მოკლედ, ასეთი „შტუკა“ მომიწყვეს, მაგრამ ეს „შტუკა“ სპექტაკლის ჩაშლის ფასად დაგვიჯდა.

მოამზადა
ლელა კოდალაშვილმა

ირაკლი სურგულაძე:

მივიღეთ „სტაბილიზაცია“, რომლის ფასი განსაკუთრებით კარგად ჩანს ციხიდან

მეხუთე გვერდიდან

თავის მხლებლებიანად. ასეთი დახასიათებით ხელისუფლება ცდილობდა დაემცირებინა „ფრონტის“ მნიშვნელობა, წარმოეჩინა იგი შამპუნების, სნიკერსებისა და სიგარეტების დამტაცებელ, ჭურდბაცაცურ ორგანიზაციად და საბოლოოდ გაენადგურებინა მისი ავტორიტეტი. ასე რომ, თ.კიტოვანი კი არ „წასულა“ სადმე, არამედ საქართველოს ტერიტორიაზე თავმოყრის ადგილს იცვლიდა მისი აღმატებულება „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტი“, რომლის წევრები იყო ათასობით მოქალაქე საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან და მრავალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია. „ფრონტის“ კარი ღია იყო ყველა ორგანიზაციისათვის, მისი რიცხვი დღითი-დღე იზრდებოდა. ამას მოწმობს მთავრობისა და ხელისუფლების ისტერიული რეაქცია „ფრონტის“ საქმიანობის. გამო მისი არსებობის მთელ მანძილზე.

რაც შეეხება ჩემს პირად საქმიანობას, მე ვაკეთებდი ყველაფერს, რაც პოლიტიკური მდივნის მოვალეობას შეადგენს. მონაწილეობა მივიღე ყველა დოკუმენტის შექმნაში, რომელიც კი „ფრონტმა“ შეიმუშავა და ამა თუ იმ სახით გამოაქვეყნა. მათ შორის, საქართველოს სამხედრო დოქტრინის პროექტის შექმნაშიაც. ახლა რჩება კითხვის ის ნაწილი, სადაც გამოხატულია ინტერესი დაპატიმრების ადგილზე ჩემი ყოფნის ფაქტისადმი: მე, როგორც „ფრონტის“ პოლიტიკურ მდივანს, უნდა მცოდნოდა, რაგორ ჩატარდებოდა „ფრონტის“ წევრთა მასობრივი გადაადგილება. ძალიან მაწუხებდა დისციპლინის საკითხი და საამისოდ შეიქმნა დოკუმენტი, რომელშიც ჩამოთვლილი იყო ყველა წევრის მოვალეობა და ვალდებულებები. ასეთი ფურცლები უნდა დარიგებოდა ფრონტის ყველა წევრს, გაცნობოდნენ მას და ხელი მოეწერათ. ვაპირებდი ჯგუფის ჩამოყალიბებას, რომელიც პასუხს აგებდა დისციპლინისათვის. ამ საკითხზე მოლაპარაკებული ვიყავი ზ.სამუშიასთან, რომელსაც გადაეცი ხსენებული დოკუმენტის ქართულ მანქანაზე ჩემი ხელით გადაბეჭდილი ეგზემპლიარი. ჩემგან დარჩა რუსული ხელნაწერი, რომელიც დაკავებისას თან მქონდა. სამწუხაროდ, ამ საბუთის გამრავლება-გავრცელება ვერ მოვასწარი. რომ არა დაპატიმრება, იგი პირველსავე დღეებში განხორციელდებოდა. ესაა ზოგადად, რასაც ვაკეთებდი და რის გაკეთებას ვაპირებდი. ალბათ მომიწევდა სხვადასხვა დოქტრინების პროექტებში მონაწილეობის მიღება და შეიქმნებოდა დოკუმენტები, სადაც „ფრონტის“ პოლიტიკური პოზიციები აისახებოდა.

დაპატიმრების შემდეგ ძალიან კარგად მეპყრობოდნენ. ჩემს გარშემო ყოველთვის იყვნენ ადამიანები, რომლებიც ცდილობდნენ შეემსუბუქებინათ ჩემი მდგომარეობა; საკანში ჩემთან მყოფები თავიანთი შესაძლებლობების მიხედვით. ციხის თანამშრომლები თავიანთი მოვალეობის ფარგლებში. მე არ მინდა ვოქვა, ციხე სამოთხეა, მაგრამ გამომდინარე იმ სისტემიდან, რომელსაც ციხე ეკუთვნის, იგი შეძლებისდაგვარად ცდილობს ნორმალური იყოს. აქ ადამიანს გაცილებით მეტი ფასი აქვს, ვიდრე პროკურატურასა და პოლიციაში. ყოველგვარ ფიზიკურ ზეწოლაზე, თუ წელიწადნახევარ ტყუილად ჯდომას არ ჩავთვლით, ლაპარაკიც კი ზედმეტია, მაგრამ ეს სახეობა „ზეწოლისა“ ციხის კომპეტენციიდან არ გამომდინარეობს.

გაგრძელება იქნება

ამბავი

«გადაბრუნებული ურმისა» ანუ ღია კარის დღე საგზაო პოლიციის საქმართველოში

ნათქვამია, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო. ჩვენს საგზაო პოლიციას, სატრანსპორტო დეპარტამენტს და ყველას, ვისაც კი ეხებოდა თუ არ ეხებოდა საზოგადოებრივი და სატვირთო ტრანსპორტის ტექნიკური მხარის შემოწმება, სავალალოდ დამთავრებული ავტოკატასტროფის შემდეგლა „გაახსენდათ“. ვერავინ შეგვედავება იმაში, რომ რესპუბლიკის დედაქალაქში მიკროავტობუსებს თუ სამარშრუტო ტაქსებს საგზაო პოლიციელი კი არა, საჭე თვალითაც რომ არ უნახავს, ისეთი კაცი შეამჩნევდა ტექნიკურ გაუმართობას. ამას ემატებოდა მძღოლთა არაპროფესიონალიზმი, ავტოინსპექტორთა გულგრილობა დარღვევების მიმართ და ცოცხალი თუ მიხვიდოდი ქალაქის ერთი უბნიდან მეორეში, ღმერთისთვის მადლობა უნდა შეგეწირა. აკი მოხდა კიდეც საშინელი კატასტროფა. დაიწვა ავტობუსი, დაიღუბნენ უდანაშაულო ადამიანები.

ყველაფერი კი სახელმწიფო ქონების კერძო სექტორისათვის გადაცემით დაიწყო... მძღოლთა უმრავლესმა ნაწილმა შესძლო (რა მანქანებით, ამაზე საუბარი ნაგვიანებია) „შეესყიდა“, ე.წ. „რაფები“ და მიკროავტობუსები. დაიწყო ამ მანქანების გადაკეთება. აბა სხვა რა გზა იყო, როცა სასწრაფო დახმარებისათვის გამიზნული მანქანები მგზავრთა გადაყვანისათვის არ იყო გათვლილი. „მისვარკებ-მოსვარკების“ შემდეგ სამარშრუტო ტაქსიც მზად გახლდათ. მერე „პატარა პატივისცემა“ (ათი ლარი) ტექნიკური დათვალიერებისათვის გაწეულ „შრომაში“ ავტოინსპექციას და... გაივსო ქალაქი უმსგავსო ავტოტრანსპორტით. ცოტა გაიბრძოლა ხელისუფლებამ მძღოლთა თვითნებობის ასალაგმავად, მაგრამ „გემოში შესული“ მძღოლები არაფერს იშურებდნენ. შედეგიც სახეზეა: დაღუპულია ათი და დასახიჩრებული ორმოცდაცხრამეტი მგზავრი. ამ მონაცემებსაც არავინ დაგიდევდათ, საქვეყნოდ გახმაურებული ავტობუსის დაწვის შემთხვევა რომ არა. ალაპარაკდა პრესა, ტელევიზია, მოკლედ, საგზაო პოლიცია იძულებული გახდა ზომები მიეღო. 180 მძღოლს ჩამოერთვა მართვის მოწმობა, მანქანის ტექნიკურად გამართვამდე. პოლიციის ელემენტარულ მოთხოვნებზე:

1. გაცვეთილი საბურავების გამოცვლა
2. საქარე მინის მოწესრიგება
3. ავტომანქანის ესთეტური მხარის მოგვარება

მძღოლები გაიფიცნენ. გაფიცვა მხოლოდ ერთ დღეს გაგრძელდა, რადგან ხელისუფალნი ისევ დათმობაზე წავიდნენ. მძღოლებს მიეცათ ვადა, რომლის გასვლის შემდგომ ტექნიკურად გაუმართავი მანქანით ქალაქში გამოსვლის შემთხვევაში მძღოლს ლიცენზია ჩამოერთმევა.

ყოველივე ზემოთხსენებულის გათვალისწინებით, ხუთ ივლისს საგზაო პოლიციის სამმართველოში ღია კარის დღე გაიმართა, რომელსაც საგზაო პოლიციის უფროსის ლ.კენჭაძის (ვლადიკავკაზში გახლდათ) და მისი მოადგილის ცინცაძის (შეუძლოდ იყო) გარდა ყველა ესწრებოდა: თბილისის საგზაო პოლიციის, რეგიონალური საგზაო პოლიციის, კონცერნ „საქგზის“, ტრანსპორტის დეპარტამენტის, სბაჯოს წარმომადგენლები.

ეს შეკრება გათვალისწინებული იყო მძღოლთათვის, მაგრამ მან პრესკონფერენციის სახე მიიღო (ამ შეკრებას ორი მძღოლის გარდა არავინ დასწრებია).

„აერძო მფლობელობაში მყოფი ავტოტრანსპორტი ემსახურება საზოგადოებას და მოქალაქეთა უსაფრთხოებაზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, აგოს პასუხი. ყველა მძღოლი ვალდებულია ტექნიკურად გამართული მანქანით გამოვიდეს ხაზზე“ — აღინიშნა შეკრებაზე. რა სახის იქნება ტექნიკური კონტროლი, ვინ ჩაატარებს მას? უმოკლეს ხანში გასცემენ პასუხს ხელისუფლების წარმომადგენლები ამ კითხვებს. მანამდე კი ათი დღის მანძილზე შეჩერდა ყოველგვარი გადაკეთებული სამგზავრო თუ სატვირთო ტრანსპორტის მძღოლთათვის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისგან უფლების გაცემა. გათვალისწინებულია ავტოსადგურების მოწესრიგების საკითხი. უახლოეს პერიოდში გარკვეული ნაბიჯები იქნა გადადგმული საზღვარგარეთიდან შემომავალი და საქართველოდან გამავალი სატვირთო მანქანების მოძრაობის შეზღუდვისათვის. დღესდღეობით თურქეთიდან შემოსული ტვირთი იცლება ხოფას ბაზარში და ამის შემდეგ ნაწილდება იგი საქართველოს ტერიტორიაზე. რესპუბლიკის ტრასებზე დღესდღეობით ძირითადად ის სატვირთო ტრანსპორტი მოძრაობს, რომელიც ტრანზიტით გადის საქართველოზე.

ღონისძიებები მრავლადაა დასახული, შესანიშნავი მოსასმენია მომავლის გეგმები, მაგრამ შესაძლებელი გახდება თუ არა საქართველოს ავტომაგისტრალებზე გადაადგილება ისე, რომ არც მძღოლი იყოს უკმაყოფილო, არც მგზავრის სიცოცხლეს ემუქრებოდეს საფრთხე და არც საგზაო პოლიციის თანამშრომელი გაწუწკებული? ამაზე ჯერჯერობით პასუხის გაცემა არავის ძალუძს.

ანა ჯუღელი



თარაზულად: 1. ერთ-ერთი შეგრძნება, რომლის ორგანო ყურია; 3. პატარა საწნეხელი; 5. მცენარე: ისხამს წვრილ შავ ნაყოფს; 7. ქალაქი იუგოსლავიაში; 8. ურთიერთანგარიშსწორებაში მომხდარ ცვლილებათა შეტყობინება; 10. მლიქვნელი, პირფერი; 13. პლანეტა მარსის ქართული სახელწოდება; 14. უგვარო ადამიანი; 15. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 17. მამალი მონადირე ფრინველი; 19. ჩვეულება; 24. მდინარე პანამის რესპუბლიკაში; 25. ძვ.თბილისში — ხელზე მოვაჭრე: გამოირჩეოდა თავისებური ჩაცმა-დახურვით, მოსწრებული სიტყვა პასუხითა და ცუღლუტობით; 26. ქალაქი და ნავსადგური საბერძნეთში; 27. თავაშვებული დროსტარება; 28. შორეული ნათესავი; 29. სიტყვის ძირში ჩასმული აფიქსი; 30. ქართველი მევიოლინე ქალი.

შვეულად: 2. კვირტიანი ხის ნორჩი ტოტი; 3. ხეპრე, ტლანქი; 4. თვალწარმტაცი ადგილი; 6. შტატი აშშ-ში; 9. კვეთილი ქვა რელიეფურად შესრულებული გამოსახულებით; 10. სახელმწიფო ჩრდ. აფრიკაში ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე; 11. ვინმეზე გაწეული შრომა; 12. ჯანსაღი ბურუსი; 16. სარეპროდუქციო ლითოგრაფიაში დედნის გამოსახულების კონტური; 18. ცის სფეროს უმაღლესი წარმოსახვითი წერტილი ამა თუ იმ დამკვირვებლის თავზე; 20. ჭადრაკის თამაშის დასაწყისი; 21. ინგლისელი მწერალი; 22. უდიდესი მდინარე აფრიკაში, ერთვის ხმელთაშუა ზღვას; 23. მეცნიერების ან ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 5. ერეკლე; 7. ანჯამა; 9. კაპტაუი; 10. ძმობილი; 12. ხურმა; 13. ბაგიო; 15. სამიკიტნო; 16. იეროგლიფი; 18. თალმუდი; 20. სანქცია; 23. აფსუს! 26. ქლიბი; 27. ბრიჯი; 28. ვერმიშელი; 29. შარჟი; 31. კაპუტ; 33. აზოტი; 34. კუტუნიო; 35. წიწმატი; 38. ადაპტაცია; 40. კართაგენი; 42. გუგუა; 43. კადრი; 46. „მალადეცი!“ 47. შტრაუსი; 48. ნაყინი; 49. რძიანა.

შეულად: 1. კლერკი; 2, ადამია; 3. ბენჟამენი; 4. მადმუაზელ; 6. კეტგუტი; 8. ჯიბლიბო; 11. ზვარაკი; 14. ქაფქირი; 17. პოსეიდონი; 19. დარვინი; 21. ათეისტი; 22. თქეში; 23. აერია; 24. სტეპი; 25. დიქტი; 30. რაუნდი; 32. პატინა; 36. ბიჟუტერია; 37. ნატახტარი; 39. ალუბალი; 41. თარხანი; 44. უმანკო; 45. ფიწალი.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი:
93-20-36,
პასუხისმგებელი მდივანი:
93-18-41